

პრესომბუდსმენი A3



უფროსი ლეიტენანტი ისინბაევა ახალი სიმაღლეებისთვის მზადაა A6



ჰოლივუდის ახალი თაობა A8


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 8 აგვისტო, 2005 წელი. №179 (1039) | ფასი 50 თეთრი


## უცხოეთი

### ჰესების რეაბილიტაცია - პირველი რიგის პრიორიტეტი?

საქართველოში მცირე ჰესების რეაბილიტაციის პროცესი უახლოეს მომავალში დაიწყება და პირველ ეტაპზე, ყოველწლიურად დამატებით 40-45 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგიის წარმოება იქნება შესაძლებელი.

A4

## უცხოეთი

### რობინ კუკი - უბედური შემთხვევის მსხვერპლი



დიდი ბრიტანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი რობინ კუკი ჩრდილოეთ შოტლანდიაში 721 მ. სიმაღლის ბენ სტეკის მთაზე ასვლისას გარდაიცვალა.

A5

## უცხოეთი

### ჩიხში შესული პეკინის ექვსმხრივი მოლაპარაკებები

ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლის, საგარეო საქმეთა მინისტრის გვან კი კიმის თქმით, ათდღიანი მოლაპარაკებების შემდეგ, ერთობლივი განცხადების პრინციპების შესახებ დელეგატები შეთანხმებას მაინც ვერ ახერხებდნენ.

A5

## რევიუ

### Buena Vista Social Club კიდევ ერთით ნაკლები

შაბათს "ბუენა ვისტას" კიდევ ერთი ცნობილი სახე - ჯგუფის წამყვანი ვოკალი - იბრაჰიმ ფერერი გარდაიცვალა.

A8

## ამინდი

| | 8/08 | 9/08 |
|---|---|---|
| თბილისი | 39 | 39 |
| ყვარელი | 36 | 36 |
| სოხუმი | 36 | 36 |
| გორი | 33 | 33 |
| ონი | 29 | 28 |
| ზუგდიდი | 38 | 38 |
| ახმეტა | 37 | 38 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8175 |
| ევრო | 2.2222 |
| ბრიტანეთის სტერლ. | 3.2232 |
| რუბლი | 0.0636 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ამბები | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# "სააკაშვილის საჩუქარი" გაძარცულია?

### "ეს აბსურდული ბრალდებაა," - აცხადებს ქართული მხარე

**ზურაბ აფხაზავა**
*სოხუმიდან*

ორი კვირის წინ ქართველი მესაზღვრეების მიერ დაკავებულ თურქულ გემზე - "თარიქ გიუნერზე" არსებული ტვირთის სოხუმის პორტში ჩატანიდან მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ მისი ნახევარი გამქრალია. დაკარგულია ტვირთის დოკუმენტაცია, ხოლო ტვირთის ნაწილი შეცვლილია სხვა საქონლით.

მთელი ამ დღეების განმავლობაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ოფიციალური პირები კომენტარისგან თავს იკავებდნენ. აღნიშნული ფაქტი მხოლოდ მას შემდეგ გამჟღავნდა, რაც საზღვაო პორტში დარჩენილი ტვირთის განაწილებისას ტვირთის მფლობელ მეწარმეებს შორის სერიოზული კონფლიქტი წარმოიშვა. გაირკვა, რომ ძვირფასი თურქული სამშენებლო მასალების დიდი უმრავლესობა მოპარულია. საქონლის დარჩენილი ნაწილი კი უცხო წარმოშობის, წუნდებული სამშენებლო მასალებით არის შეცვლილი. ახლა მეწარმეები დარჩენილი ტვირთის გაყოფას ვერ ახერხებენ. მიზეზი კი საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტების არარსებობაა. დაკარგულია სერტიფიკატები, სასაქონლო ზედნადები, თურქეთიდან ტვირთის გადმოგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტები. ამჟამად, ბიზნესმენები ქართველი მესაზღვრეების მიერ მათთვის მიყენებული ზიანის დათვლას ცდილობენ, თუმცა, კონკრეტული ციფრი ჯერჯერობით დადგენილი არ არის.

გაგრძელება A3 გვერდზე

# კაშხლების კასკადი ჭოროხზე - საფრთხე და სარგებელი

**ეთერ თურაძე**
*გაზეთი "ბათუმელები"*

*"ჭოროხის კალაპოტში წყალი საერთოდ აღარ რჩება. კაშხლის წყლით ავსება უნდათ, მაგრამ ცოტა ჩვენც დაგვიტოვონ. პირველ დღეებში წყალი უცებ გადაიკეტა, მშრალ კალაპოტში უამრავი თევზი დარჩა. რატომ არ ინტერესდებიან ჩვენი ეკოლოგები თევზების უმოწყალო განადგურებით?!"*

ეს რეპლიკა ეკოლოგების მისამართით კირნათელებმა გამოთქვეს. როგორც საქართველო-თურქეთის საზღვართან მდებარე სოფლის მცხოვრებლები აცხადებენ, ჭოროხის გადაკეტვა ღამის საათებში იწყება და დილის 10 საათამდე გრძელდება.

გაგრძელება A3 გვერდზე



*ბორჩხასთან კაშხლის მშენებლობა 2 თვეში დასრულდება.*

# ორასი მეტრი წყალქვეშ

### რუსულ ფლოტს ჟანგი ეკიდება





*ბატისკაფ "პრიზ"-ის ეკიპაჟს გაცილებით გაუმართლა, ვიდრე 2000 წელს ბარენცის ზღვაში ჩაძირული ატომური წყალქვეშა ნავის "კურსკის" 118 მეზღვაურს*

*რუსულ ფლოტში კიდევ ერთი კატასტროფა, საბედნიეროდ, მსხვერპლის გარეშე დასრულდა. სამაშველო ბატისკაფის, "პრიზ"-ის ეკიპაჟს გაცილებით გაუმართლა, ვიდრე 2000 წელს ბარენცის ზღვაში ჩაძირული ატომური წყალქვეშა ნავის "კურსკის" 118 მეზღვაურს. რამდენიმე დღიანი განსაცდელის შემდეგ, "პრიზ- A-28"-ს ბორტზე მყოფი 7 ადამიანი კვირას უვნებლად ამოიყვანეს წყლიდან. თუმცა, რომ არა ამერიკელ და ბრიტანელ სპეციალისტთა დახმარება, რუსეთის პრეზიდენტს, ალბათ, კიდევ მოუწევდა ტელეეთერში ერთხელ უკვე ნათქვამი ტრაგიკული სიტყვების გამეორება - "იგი ჩაიძირა".*

**ნიკა თარაშვილი**

### რუსული "პრიზ"-ის გადარჩენა

რამდენიმე დღის განმავლობაში მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებების ყურადღება კამჩატკის სანაპიროსთან მიმდინარე მოვლენებზე იყო მიპყრობილი. შეგახსენებთ, ხუთშაბათს შუადღისას რუსული ფლოტის სამაშველო ბატისკაფიდან "პრიზ"-ი უბედურების პირველი სიგნალი მოვიდა. თუმცა, ოფიციალური წყაროებიდან ბატისკაფის მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ მხოლოდ მომდევნო დღეს გახდა ცნობილი.

გაგრძელება A5 გვერდზე

# დემოგრაფიული კრიზისი "დაბერებულ" და "დაუსაქმებელ" საქართველოში

**თამარ მაისურაძე**

საქართველოში დემოგრაფიული კრიზისია. იგი დემოგრაფიულად მომაკვდავი ქვეყნების ჩამონათვალში შედის. მოსახლეობის ორ უკანასკნელ აღწერათა პერიოდში (1989-2002 წლებში) საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1 მილიონ 88 ათასი კაცითაა შემცირებული.

გაერო-ს ხალხთმოსახლეობის ფონდის პროგნოზული გაანგარიშებით, არსებული დემოგრაფიული ტენდენციების შენარჩუნების პირობებში, საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა განახევრდება. შემაშფოთებელია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ფონდის მიერ საქართველო შეტანილია იმ 50 ქვეყნის სიაში, რომელიც დემოგრაფიულად მომაკვდავ ქვეყნად ითვლება.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 1990 წელს, თუ ყოველ 1000 კაცზე იბადებოდა 17,1 ბავშვი, 2003 წელს მათი რაოდენობა 10,7-მდე შემცირდა, გარდაცვლილთა მაჩვენებელი კი - (1000 კაცზე ) 9,3-დან 10,6-მდე გაიზარდა. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში უკვე დაწყებულია ბუნებრივი დეპოპულაციის პროცესი. დამაიმედებელი არც უკანასკნელი წლების მონაცემებია.

ახალგაზრდების დემოგრაფიული განწყობის სფეროში ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს შობადობის გაზრდის რეზერვი, წყვილზე დაახლოებით ერთი ბავშვის ოდენობით. ანუ, ახალგაზრდა ოჯახი მზადაა, შვილების არსებულ რაოდენობასთან ერთად იყოლიოს კიდევ ერთი შვილი, თუკი მას სათანადო ეკონომიკური პირობები ექნება. ამიტომ, ახალგაზრდა ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა დღეისათვის არა მარტო აუცილებელი, არამედ რეალური შედეგის მომტანიც შეიძლება იყოს. მომავალში კი, სახელმწიფოს მხრიდან მატერიალურ მხარდაჭერას შეიძლება სათანადო დემოგრაფიული ეფექტი, შობადობის გაზრდის თვალსაზრისით, უკვე აღარ მოჰყვეს, ვინაიდან მთელ მსოფლიოში ფიქსირდება მცირე ზომის ოჯახის ნორმის ფორმირების ტენდენცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მატერიალური კეთილდღეობის პირობებშიც კი მშობლებს ერთ ან ორ შვილზე მეტის ყოლა აღარ სურთ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# აზერბაიჯანელები საქართველოში სამძებრო-ოპერატიულ ღონისძიებებს ატარებენ

თითქმის ერთ კვირაზე მეტია, თბილისში იმყოფებიან აზერბაიჯანის პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის წევრები, რომლებიც აზერბაიჯანული ჟურნალის "მონიტორის" მთავარი რედაქტორის ელმარ ჰუსეინოვის მკვლელობის საქმის დეტალების გარკვევას სწორედ საქართველოში აპირებენ. ჩვენი ინფორმაციით, საქართველოში მოვლინებულ აზერბაიჯანელ კოლეგებთან ქართველი სამართადამცველები აქტიურად თანამშრომლობენ, თუმცა გამოიკვეთა თუ არა რაიმე ახალი დეტალი ამასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით არანაირი ინფორმაცია არ ხმაურდება. გამოძიების მიმდინარეობის დეტალებზე საქართველოს გენერალურ პროკურატურაში არანირი კომენტარი არ კეთდება.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ჟურნალისტის მკვლელობაში აზერბაიჯანის მხრიდან დასახელებული საქართველოს მოქალაქეები ტაირ ხაბუნოვი და თეიმურაზ ალიევი ჯერჯერობით დაკავებულები არ არიან. აზერბაიჯანული მხარე კი მათ გადაცემას მოითხოვს. როგორც საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აცხადებენ, ექსტრადიციის საკითხი მხოლოდ მას შემდეგ დადგება დღის წესრიგში, როცა მათ დააკავებენ, თუმცა გენერალურ პროკურატურაში იმასაც აცხადებენ, რომ ქართული კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე რომელიმე სხვა ქვეყანას არ გადაეცემა, რადგან იგი საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოშივე უნდა გასამართლდეს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ აზერბაიჯანელ კოლეგებს ტაირ ხუბანოვისა და თეიმურაზ ალიევის მიმართ წარმოებული საქმის მასალები ცოტა ხნის წინ მოსთხოვა. მასალების გამოგზავნიდან რამდენიმე დღეში თბილისში აზერბაიჯანის ეროვნული უშიშროების სამინისტროსა და რესპუბლიკური პროკურატურის წარმომადგენლებიც ჩამოვიდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი საქართველოს ტერიტორიაზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს ატარებენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ქართველების ბედს დუბაის სასამართლო დღეს გადაწყვეტს

საქართველოს ოთხი მოქალაქე დუბაიში კვლავ შინა პატიმრობაში რჩება. ერთ-ერთი მათგანის, თურმანიძის დედა აცხადებს, რომ შვილს ტელეფონით უკავშირდება. **"დუბაის სასამართლოს შაბათს ოთხივესთვის უნდა დაებრუნებინა პასპორტები და ისინი საქართველოში ჩამოსულიყვნენ. კონსული სანდრო ჭელიძე დაკავებულთა გასათავისუფლებლად ყველაფერს აკეთებს, მაგრამ დუბაის სასამართლო პროცესს აჭიანურებს,"** - აცხადებს თურმანიძის დედა.

საქმე ისაა, რომ დუბაის სასამართლომ ქართველების ადვოკატთა მტკიცებულებები, დანაშაულის ჩადენის მომენტში ემირატანილთა სავაჭრო ცენტრში ყოფნის შესახებ, არასაკმარისად მიიჩნია. სასამართლოს იმ 30 თითის ანაბეჭდის ექსპერტიზა უნდა ჩაეტარებინა, რომლებიც შემთხვევის ადგილზე აღმოჩნდა.

ფილიპინელი ქალბატონის ბინის ქურდობაში ემირატანილმა ქართველებმა, შესაძლოა, დუბაის სამართალდამცველებს მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით სასამართლოში უჩივლონ.

როგორც სააგენტო "ინტერპრესნიუსს" ერთ-ერთმა ემირატანილმა გოგიტა ჭეჟიამ განუცხადა, ქურდობაში მათი დადანაშაულების შესახებ ცრუ ინფორმაცია მთელ მსოფლიოში გავრცელდა, რითაც მათ მორალური ზიანი მიადგათ. გარდა ამისა, ჭეჟიას თქმით, საგამოძიებო პროცედურები ჭიანურდება, რის გამოც, ისინი იძულებულნი არიან, დუბაიში იცხოვრონ, შესაბამის ხარჯებს კი საკუთარი სახსრებით იხდიან. ქართველები ამავე მიზეზით სასამართლოში სარჩელის შეტანას ფილიპინელი ქალბატონის წინააღმდეგაც აპირებენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ქართველების ბედს დუბაის სასამართლო დღეს გადაწყვეტს

პირველი გვერდიდან

დღეს ქართველებმა სასამართლოში ის მოწმეები უნდა წარადგინონ, რომლებიც მათი უდანაშაულობის ალიბს დაადასტურებენ. სავარაუდოდ, ამ პროცედურის გავლის შემდეგ გაირკვევა, თუ როდის მისცემენ გათავისუფლებულ ქართველებს სამშობლოში დაბრუნების საშუალებას. როგორც ცნობილია, ქართველებს პასპორტები ადგილობრივმა პოლიციამ ჩამოართვა, რომელსაც მათი უდანაშაულობის საბოლოო დადასტურებამდე არ დაუბრუნებს, ამის გამო ისინი ქვეყნის დატოვებას ვერ ახერხებენ.

შეგახსენებთ, რომ ქართველები დუბაიში 29 ივლისს დააკავეს. ერთ-ერთი ქართველი მერაბ კილაძე ფილიპინელი ქალბატონის ბინის გაქურდვის მცდელობაშია ეჭვმიტანილი, მან აღიარა კიდეც დანაშაული.

**24 საათი**

# ციხის საავადმყოფოში ჩხრეკა ჩატარდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში არაგეგმიური ჩხრეკა ჩატარდა.

მოულოდნელი ჩხრეკა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა და იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა ჩაატარეს, რომელსაც დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა კოპაძე ხელმძღვანელობდა. იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ღონისძიების შედეგად ამოღებულია 18 ცალი მობილური ტელეფონი, 20 ცალი მობილური ტელეფონის სამუხტი, 2 ცალი ფოტოაპარატი, 30-მდე სხვადასხვა სახის მჩხვლეტავი და ბასრი საგანი და 200 ლარამდე თანხა.

ჩხრეკა საათნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა და მას ექსცესები არ მოჰყოლია. სამკურნალო დაწესებულებაში ამჟამად, 267 პატიმარი იმყოფება.

**24 საათი**

# საოლქო და უმაღლესი სასამართლოების ლიკვიდაცია ნოემბერში დაიწყება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ნოემბერში თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოებსა და აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოების ლიკვიდაციას დაიწყებს. მათ ბაზაზე სააპელაციო სასამართლოები შეიქმნება.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანის ვალერი ცერცვაძის განცხადებით, შეიქმნება ოთხი - თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სააპელაციო სასამართლოები. სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვა მხოლოდ სააპელაციო წესით მოხდება, განსხვავებით დღევანდელი წესისაგან, როდესაც საოლქო და აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოები სააპელაციო საჩივრების გარდა, საქმეებს პირველი ინსტანციის წესითაც იხილავენ. ვალერი ცერცვაძის განცხადებით, სააპელაციო სასამართლოების ჩამოყალიბების შემდეგ დაიწყება რაიონული სასამართლოების გამსხვილება. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იქნება 15 რაიონული სასამართლო, სადაც ყველა კატეგორიის საქმე პირველი ინსტანციის წესით განიხილება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო, მხოლოდ საკასაციო ინსტანცია იქნება და შეიზღუდება იმ საქმეთა რაოდენობა, რომლის განხილვა ამ ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციაში შევა. სისხლის სამართლის საქმეებზე კასაციის უფლება არ შეიზღუდება, თუმცა სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, სადაც დავის საგანი იქნება 50 ათას ლარზე მეტი ღირებულების, ან ის საქმეები, რომელიც შეეხება ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# აფხაზური მხარე 13 ქართველის გათავისუფლებას არ აპირებს

ქართული სამშვიდობო ძალების სარდლის ვალერი ჯაფარიძის განმარტებით, ჯერჯერობით გაურკვეველია იმ 13 დაკავებული ქართველის ბედი, რომლებიც ამჟამად გალის იზოლატორში იმყოფებიან. ვალერი ჯაფარიძის განცხადებით, აფხაზური მხარე აპირებს მათთვის საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო ბრალის წაყენებას და სასამართლო უახლოეს დღეებში სოხუმში გაიმართება.

მისივე თქმით, ამჟამად პატიმრობაში მყოფი 13 ქართველიდან აფხაზური მხარე არც ერთის გათავისუფლებას არ გეგმავს. აფხაზურმა მხარემ უარი განაცხადა აგრეთვე დაკავებულებისთვის ქართველი ადვოკატის აყვანაზე. მათ სახაზინო ადვოკატი დაიცავს.

აფხაზმა სამართალდამცველებმა საქართველოს 22 მოქალაქე გალისა და წალენჯიხის რაიონების ადმინისტრაციულ საზღვარზე მდებარე მუჟავის ხეობაში 20 ივლისს დააკავეს. ისინი დაკავებულ მოქალაქეებს აფხაზეთის სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთასა და აფხაზეთის ტერიტორიაზე ხე-ტყის უკანონო დამზადებაში ადანაშაულებენ.

მათი შეფასებით, დაკავებულებმა აფხაზეთის რესპუბლიკას 90 ათასი რუსული რუბლის ოდენობის ზარალი მიაყენეს.

**ინტერპრესნიუსი**

# გადასახადების აკრეფის განყოფილების უფროსი დააკავეს

ზუგდიდში საგადასახადო ინსპექციის გადასახადების აკრეფის განყოფილების უფროსი ლერი ჯიქია დააკავეს. საოლქო პროკურატურაში ლერი ჯიქიას დაკითხვა უკვე დასრულდა. მას ბრალად ედება სხვადასხვა პირებთან ერთად სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხის მითვისება და რამდენიმე საწარმოსთვის ყალბი დოკუმენტების მომზადება.

სამართალდამცველები ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებენ, თუმცა თავად ლერი ჯიქიამ განაცხადა, რომ იგი თავს დამნაშავედ არ ცნობს.

ლერი ჯიქია უკვე გადაიყვანეს ზუგდიდის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში. მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების საკითხს სასამართლო სამი დღის ვადაში განიხილავს.

**ინტერპრესნიუსი**

# აფხაზები ჰააგის სასამართლოში აფხაზეთის საქმის განხილვის შეჩერებას ცდილობენ

ექსპერტი აფხაზეთის საკითხებში პაატა დავითაია აცხადებს, რომ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის მიერ სექტემბერში დაგეგმილი განხილვა, რომელიც "1992-1993 წლებში აფხაზეთის წინააღმდეგ საქართველოს აგრესიას" შეეხება, ჰააგაში ქართული მხარის მიერ შეტანილ სარჩელს უკავშირდება.

"აფხაზებს იმის ეშინიათ, რომ ჰააგაში საქმე კარგად მიდის. ყოველდღე ველოდები მოწვევას, რათა აგვისტოს ბოლოსთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე მოხსენებით წარვდგე. ჩემს მოხსენებას ითვალისწინებს ჩვენი სარჩელის განხილვის სტადია, რომლის შემდეგაც, პროკურორი გადაწყვეტს, აღძრას თუ არა საქმე აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, პროკურორი ამ საქმეს აღძრავს, რადგან სხვადასხვა რვაასამდე სარჩელიდან ჰააგის სისხლის სამართლის ანალიტიკურმა ჯგუფმა პროკურორს განსახილველად სწორედ აფხაზეთის საქმის მიღებისკენ მოუწოდა", - აცხადებს პაატა დავითაია.

მისივე განმარტებით, აფხაზებს ჰააგას სასამართლოში მიმდინარე მოვლენების რომ ეშინიათ, ეს ივნისში, სოხუმში გამართულ კონფერენციაზეც დადასტურდა. ამ კონფერენციაში მოსკოვში პატრიკ ლუმუმბას სახელობის საერთაშორისო ინსტიტუტის ექსპერტებიც მონაწილეობდნენ, რომლებიც აფხაზებთან ერთად მსჯელობდნენ იმაზე, თუ რა სამართლებრივი ბერკეტებით შეეჩერებინათ ჰააგაში აფხაზეთის საქმის განხილვა.

აღსანიშნავია, რომ 31 ივლისს პაატა დავითაიამ ჰააგადან მიიღო მიწვევა 14 აგვისტოს სამხედრო და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების შესახებ საერთაშორისო ტრენინგში მონაწილეობისთვის.

**მედია-ნიუსი**

# ვაჟა ხაჭაპურიძე გიორგი ხაინდრავას საქმიანობით უკმაყოფილოა

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ვაჟა ხაჭაპურიძე არ ფლობს ინფორმაციას, შედგება თუ არა სექტემბერში ზურაბ ნოღაიდელისა და ედუარდ კოკოითის შეხვედრა, როგორც ამას ქართული მხარე ითხოვს.

მისი განცხადებით, კოკოითი ამჟამად ცხინვალში არ იმყოფება და ამ კითხვაზე ზუსტი და ამომწურავი პასუხის გაცემა ჯერჯერობით ძნელია.

ხაჭაპურიძის შეფასებით, სიტუაცია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საკმაოდ რთულია და თუ არაფერი შეიცვალა, ვითარება, შესაძლოა, კიდევ უფრო გაუარესდეს.

ხაჭაპურიძე განსაკუთრებით უკმაყოფილოა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას საქმიანობით.

"ხაინდრავას გაკეთებული საქმე მე ჯერ არსად მინახავს. მიკვირს, რატომ ენდობა ასე სააკაშვილი, ან მე რას მერჩიან. მეხანძრესავით ვარ, მაგათგან დანთებული ცეცხლის ჩაქრობას ვუნდები და კიდევ უკმაყოფილოები არიან," - აცხადებს ხაჭაპურიძე.

მისი თქმით, ის კვლავ რჩება კოკოითის ხელისუფლებაში და ყველაფერს გააკეთებს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის. თუმცა, თუ მის წინააღმდეგ კვლავაც გაგრძელდება ცილისმწამებლური კამპანია, "აღარ გაჩერდება და ისეთ კომპრომატებს დადებს, ზოგიერთებს პრეზიდენტობა კი არა, ბრიგადირობაც სანატრელი გაუხდება."

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოს ხელისუფლება ცხინვალის რეგიონში სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარებას გეგმავს

საქართველოს ხელისუფლება ცხინვალში საომარი მოქმედებების დაწყებას არ გეგმავს.

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თვალის კლინიკის "ოფთალმიჯის" ხელმძღვანელ გიორგი ჯავრიშვილთან გუშინ გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

სააკაშვილის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება ცხინვალის რეგიონში სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარებას გეგმავს და ყველაფერს ეცდება, რომ ამ ინფრასტრუქტურამ უახლოეს მომავალში როგორც ცხინვალში, ასევე ჯავაში და ზნაურში ფუნქციონირება შეძლოს.

სააკაშვილის განცხადებით, ერთ-ერთი წარმატებული, თვალის კლინიკა "ოფთალმიჯი" გამოვიდა ინიციატივით, რომ ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას უფასოდ, ყოველგვარი თანხის გარეშე ჩაუტაროს თვალზე შესაბამისი მკურნალობა და ამ მკურნალობის ხარჯებს თავად "ოფთალმიჯი" გაწევს.

ინიციატივა, როგორც დღევანდელი შეხვედრიდან გახდა ცნობილი, "ოფთალმიჯის" ხელმძღვანელობას ეკუთვნის და მას საქართველოს ხელისუფლებაც აქტიურად უჭერს მხარს.

დაახლოებით ერთი თვის წინ, ცხინვალის ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებას უახლესი სამედიცინო აპარატურა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა ფრიდონ თოდუამ საჩუქრად გადასცა.

**ინტერპრესნიუსი**

# აზერბაიჯანელები საქართველოში სამძებრო-ოპერატიულ ღონისძიებებს ატარებენ

პირველი გვერდიდან

სააგენტო "პრაიმ-ნიუსის" ინფორმაციით, ელმარ ჰუსეინოვის სახელობის ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ჟურნალისტი შაჰბაზ ჰუდუოღლუ აცხადებს, რომ "მონიტორის " მთავარი რედაქტორის მკვლელობის საქმეში, ოფიციალურად დასახელებული თეიმურაზ ალიევისა და ტაჰირ ჰუბანოვის გარდა, კიდევ საქართველოს სხვა ორი მოქალაქე ფიგურირებს.

ჟურნალისტის განმარტებით, რამდენიმე დღის წინ ბაქოში გამართულ სასამართლო პროცესზე აზერბაიჯანის მოქალაქე თურგაი ბაირამოვმა, რომელიც ეჭვმიტანილია მკვლელობის ხელშეწყობასა და დოკუმენტების გაყალბებაში, განაცხადა, რომ "მონიტორის" რედაქტორის მკვლელობის დაგეგმვაში, გარდა უშუალო შემსრულებლებისა, მონაწილეობდა ქართველი ეროვნების ორი პიროვნება. **"სასამართლოზე ბაირამოვმა არ დააკონკრეტა ქართველების სახელები, თუმცა, აღნიშნა, რომ ისინი აქტიურ მინაწილეობას იღებდნენ ელმარ ჰუსეინოვის წინააღმდეგ დანაშაულის მომზადებაში. ბაირამოვმა თქვა, რომ, მკვლელობის დაგეგმვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ასევე, საქართველოს მოქალაქე, ეროვნებით ქურთი, მეტსახელად "სეკო"**, - განუცხადა "პრაიმ-ნიუსს" შაჰბაზ ჰუდუოღლუმ.

ჰუდუოღლუს თქმითვე, ბაირამოვმა სასამართლოში აღიარა, რომ არის ერთ-ერთი ეჭვმიტანილის, თეიმურაზ ალიევის ნათესავი და მის საცხოვრებელ ადგილად ასახელებს საქართველოს, ბოლნისის რაიონის ერთ-ერთ სოფელს.

**"რადგან საქმეში ფიგურირებს ეროვნებით ქურთი პიროვნება, მეტსახელად "სეკო", აზერბაიჯანელ ჟურნალისტებს ეჭვს აღუძრავს, რომ მკვლელობა განახორციელა ეგრეთ წოდებულმა "ქურთულმა მაფიამ". ამავე დროს, საგულისხმოა, რომ პრეზიდენტ ილჰამ ალიევის პირადი დაცვის უფროსი არის ეროვნებით ქურთი ბეილერ იუბოვი. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ ყველაფერს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი ჰქონდეს. ოპოზიციონერი ჟურნალისტის ელმარ ჰუსეინოვის მკვლელობა დაგეგმა და განახორციელა აზერბაიჯანის ხელისუფლებამ, რომელიც არ არის დაინტერესებული საქმის ობიექტურად გამოძიებაში. დანამდვილებით ცნობილია, რომ ბაქოში მომხდარი მკვლელობიდან რამდენიმე საათის შემდეგ, მკვლელების ჯგუფი ყოველგვარი პრობლემების გარეშე აზერბაიჯანიდან საქართველოში "წითელი ხიდის" სასაზღვრო გამშვები პუნქტის გავლით შევიდა. ხელისუფლების სურვილი რომ ყოფილიყო, დამნაშავეები ასე იოლად ვერ დატოვებდნენ აზერბაიჯანს,"** - ასეთი ინფორმაცია მიაწოდა აზერბაიჯანელმა ჟურნალისტმა "პრაიმ-ნიუსს".

მისივე თქმით, აზერბაიჯანის პროკურატურას გააჩნია ეჭვმიტანილთა ფოტოსურათები, თუმცა, მათ საიდუმლოდ ინახავს. ჰუდუოღლუ ფიქრობს, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებას ხელს არ აძლევს ეჭვმიტანილთა დაკავება, რადგან, ამ შემთხვევაში, მკვლელობის შემკვეთი ადვილად გამოაშკარავდება.

**24 საათი**

# დემოგრაფიული კრიზისი "დაბერებულ" და "დაუსაქმებელ" საქართველოში

პირველი გვერდიდან

შობადობის სტიმულირების აუცილებლობა განპირობებულია იმ ასაკობრივი ცვლილებებით, რაც დღეს საქართველოში მიმდინარეობს. ლაპარაკია იმაზე, რომ საქართველოს მოსახლეობა დემოგრაფიულად გადაბერებულია და გადაბერების ტემპები თანდათან მატულობს. დღეს დაბადებული ბავშვი სამუშაო ძალად იქცევა, მინიმუმ, 18-20 წლის შემდეგ, ანუ იმ პერიოდისათვის, როცა განსაკუთრებით დიდი იქნება საპენსიო ასაკის მოსახლეობის რაოდენობა, მათი შენახვა კი, სახელმწიფოსთან ერთად, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის მოვალეობაა. 1990 წელს თუ 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი 24.5 პროცენტი იყო, 2003 წელს ეს მაჩვენებელი 20.4 პროცენტამდე დაეცა.

სტატისტიკას თუ გადავხედავთ, კრიზისი ნათლად ჩანს: 1990-დან 2004 წლამდე საქართველოს მოსახლეობას ბუნებრივი მატების დონემ 7,8 პროცენტიდან 0,1 პროცენტამდე დაიწია. ამ ციფრებში გარკვეულ, არცთუ მცირე როლს საზღვარგარეთ გასული პროდუქტიული ასაკის მქონე მოსახლეობაც განაპირობებს.

მიგრაციამ პიკს 1994-1995 წლებში მიაღწია. ამ პერიოდში გარემიგრაციის უარყოფითმა სალდომ 142.6 ათასი კაცი შეადგინა. შემდგომ წლებში ამ პროცესის კლების ტენდენცია შეინიშნებოდა, 2003 წელს კი - 30 ათასი შეადგინა. თუ 1990 წელს ქვეყნის მოსახლეობა 5 მილიონ 424 ათასი იყო, 1995 წელს მოსახლეობის რიცხოვნობამ 5 მილიონ 61 ათასი შეადგინა, 2003 წელს კი მოსახლეობის რაოდენობა (ქვეყნის კონტროლირებად ტერიტორიაზე) 4 მილიონ 312 ათას ადამიანამდე შემცირდა. შრომით მიგრანტთა რაოდენობა (როგორც ლეგალური, ისე არალეგალური), სპეციალისტთა მოკრძალებული გათვლებით, 550-600 ათას კაცს შეადგენს. თუმცა, არაოფიციალურად ვარაუდობენ, რომ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მილიონ კაცზე მეტია გასული.

დემოგრაფიული კრიზისი პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის მოსახლეობის დაბერებაზე. დაბერებულად ითვლება ერი, რომლის 65 წელს გადაცილებული მოსახლეობაც მთელი მოსახლეობის 7 პროცენტზე მეტია. ჩვენთან კი, ეს "კატეგორია" დაახლოებით 14 პროცენტს უდრის. იმის გამო, რომ მიგრაციულ პროცესებში, ძირითადად, შრომისუნარიანი და რეპროდუქციული ასაკის მოსახლეობა მონაწილეობს, ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გამოიკვეთა მოსახლეობის დაბერების ტენდენცია. 1990 წელს 65 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობა მხოლოდ 9.2 პროცენტი იყო, 2003 წელს ეს მონაცემი 13.1 პროცენტამდე გაიზარდა.

დემოგრაფიულ კლებასთან ერთად, პრობლემას ახალგაზრდების უმუშევრობაც ემატება - საქართველოში არსებული სამუშაო ადგილების სიმცირე. 24 წლამდე ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის მაჩვენებელი ორნახევარჯერ უფრო მაღალია, ვიდრე მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის მიხედვით. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასაქმების პოლიტიკის სამმართველოს უფროსის ციური ანთაძის თქმით, ეს პრობლემა "დღის წესრიგში" უახლოეს მომავალში დადგება, მისი გადაჭრა კი იოლი ნამდვილად არ იქნება. დასაქმებულთა რაოდენობა და შემოსავლები პენსიონერთა შენახვას ვერ გაწვდება, და პენსიონერთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება.

სტატისტიკური მონაცემებით, ამჟამინდელი მოსახლეობის 65-67 პროცენტი ეკონომიკურად აქტიურია, თუმცა მათი 40-45 პროცენტი სამუშაოს ვერ შოულობს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა არ დაფიქსირებულა. 2000 წელს დასაქმებული იყო 1 მილიონ 840 ათასი კაცი, 2004 წლისთვის იგი 1 მილიონ 783 ათას კაცამდე შემცირდა. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მცირდება დაქირავებით მომუშავეთა რაოდენობა. 2004 წლის მონაცემებით, დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან, მხოლოდ 600,9 ათასი კაცი მუშაობდა დაქირავებით, ხოლო 1 მილიონ 180 ათასი თვითდასაქმებული იყო. დაქირავებულების რაოდენობის კლება, ძირითადად, განპირობებულია სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა მასობრივი დათხოვნით. განვითარებულ ქვეყნებში თვითდასაქმებულთა წილი მოსახლეობის 12-15 პროცენტია, ხოლო ჩვენთან - 66-67 პროცენტი.

როგორც უცხოელი ექსპერტები აცხადებენ, საქართველოში (და არა მარტო აქ) ქვეყნის სიღარიბის დონეს სწორედ უმუშევრობა და დასაქმებულთა შემოსავლების სიმცირე განსაზღვრავს. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მოსახლეობის დასაქმებისთვის და, პარალელურად, ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნისთვის 5 მილიონი ლარი იყო ჩადებული. მომდევნო წელს, იმავე ბიუჯეტში, იმავე საკითხის მოსაგვარებლად მხოლოდ 2 მილიონ 400 ათასი ჩაიდო, 2005 წლისთვის კი 1 მილიონ 700 ათასი განისაზღვრა.

სიღარიბის ზღვარს მიღმა საქართველოს მოსახლეობის 52 პროცენტი ცხოვრობს. ორი წლის წინ ეს ციფრი 54 პროცენტს უდრიდა. ამ ორპროცენტიან პროგრესს ხელოვნურად შემცირებულს უწოდებენ. თუმცა, ბოლო ინფორმაციით, სიღარიბის დონემ სამი პროცენტით კიდევ მოიმატა. 2005 წლის პირველი კვარტლისთვის საქართველოს შინამეურნეობების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სიღარიბის დონე ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ 2,7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. როგორც სტატისტიკის დეპარტამენტში აცხადებენ, ქვეყანაში სიღარიბის ზრდა ნელი ტემპით შეინიშნება. დღეს არსებულ დონეს მეტ-ნაკლებად "საზღვარგარეთული გზავნილები" აბალანსებს. პროცენტულად ყველაზე მეტი გზავნილი რუსეთიდან შემოდის.

სახელმწიფო, თავის მხრივ, ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად სოციალური დახმარებების გაცემის ორგანიზებას გეგმავს. თუმცა, მხოლოდ სოციალური დახმარების იმედზე სიღარიბისა და სიღატაკის აღმოფხვრა შეუძლებელია. ქვეყანამ ნომერ პირველ პრიორიტეტად დასაქმების პირობების გაუმჯობესება უნდა დაისახოს მიზნად და უმუშევრობას უნდა ებრძოლოს. ამისთვის კი, პირველ რიგში, ხელისუფლების მიერ დასაქმების სფეროში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად კეთილი ნების გამოვლენაა საჭირო.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# კაშხლების კასკადი ჭოროხზე - საფრთხე და სარგებელი

პირველი გვერდიდან

თურქეთის სახელმწიფოს დაგეგმილი აქვს 21 კაშხლის მშენებლობა. მათ შორის დერინერის კაშხლების მშენებლობაზე (ისინი მთლიანად მდინარე ჭოროხით იქნება უზრუნველყოფილი) მილიარდები იხარჯება. კაშხლების მშენებლობის პარალელურად, უზარმაზარ კლდეებზე გაჰყავთ ახალი გზები, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები. ამ უზარმაზარ პროექტს შეეწირა (წყლის ქვეშ მოექცა) ბევრი სოფელი. წყლიდან მეჩეთების მინარეთებიღა მოჩანს. ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რა გეგმებიც თურქეთის სახელმწიფოს აქვს - ართვინის ვილაიეთში კიდევ ბევრი დასახლებული უბანი მოექცევა წყლის ქვეშ.


ქალაქ ბორჩხასთან მდებარე ეს სოფელი წყლის ქვეშ მოექცა.

კაშხლებზე შესრულებული სამუშაოების ნახვის შემდეგ, ნებისმიერი ადამიანი დარწმუნდება, რომ ამ პროექტის შეჩერება ზღაპარია. კაშხლებზე ასობით ადამიანი ოცდაოთხი საათის განმავლობაში მუშაობს. მშენებლობის თანხის ნაწილი თურქულმა მხარემ მსოფლიო ბანკისგან მიიღო კრედიტის სახით. დერინერის კაშხლების მშენებლობის დასრულება მინიმუმ 2008, მაქსიმუმ 2009 წლისთვის იგეგმება.

ამ თემასთან დაკავშირებით აჭარის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველოს ორგანიზებითა და ბათუმში არსებული თურქეთის საკონსულოს ფინანსური მხარდაჭერით, თურქეთის ქალაქ ბორჩხაში თურქულ-ქართული მხარის არაოფიციალური შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრა, ურთიერთწარდგენის შემდეგ, ასეთი შეხსენებით დაიწყო: **"მდინარე ჭოროხი თურქეთში 410, ხოლო საქართველოში 21 კილომეტრზე მიედინება".**

ქართულ მხარეს, წყლის არასტაბილური დაწყვეტა-გაშვების შემდეგ, ჭოროხის ზოლში წყალმოვარდნების პრობლემის გადაწყვეტა სურდა. აღმოჩნდა, რომ თურქებს წყლის გამოშვების გრაფიკი არ ჰქონდათ შედგენილი, ანუ წყალს მაშინ უშვებდნენ, როცა საჭიროზე მეტი უგროვდებოდათ.

არაოფიციალური ინფორმაციით, წყლის არასტაბილური გაშვება თუ არ დარეგულირდა, ქართულ მხარეს ეკოლოგიური საფრთხე ემუქრება. ეკოლოგიურ საფრთხეზე საუბრის დროს, იმასაც ამბობდნენ, რომ თურქული მხარე საქართველოს სახელმწიფოს ყოველწლიურად, კომპენსაციის სახით, ხუთ მილიონ დოლარს გადაუხდის. თუმცა, როგორც გუშინ ქართული დელეგაციის წევრებმა აგვიხსნეს, ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. თურქულმა მხარემ მხოლოდ ახლახან, ანკარის შეხვედრის დროს აღიარა, რომ მდინარე ჭოროხზე ნაშალის ჩამოტანა კაშხლების მშენებლობის შემდეგ შემცირდა. თურქები აცხადებენ, რომ ზღვის ზოლში (ვთქვათ ადლიაში) სერიოზული პრობლემა საქართველოს აქამდეც ჰქონდა და ეს არანაირად არ უკავშირდება კაშხლების მშენებლობას.

შეხვედრის შემდეგ ერთი რამის გარკვევა მოხერხდა, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

**დერინერის კაშხლები - მოკლე აღწერა:**

**დერინერი** პირველი კაშხალია თურქეთში, რომელიც (ორმაგი) მრგვალთაღიანი იქნება. კაშხალი თავისი მასშტაბებითა და სიდიდით მესამეა თურქეთში არსებულ კაშხალთა შორის. იმუშავებს ხუთი ტურბინა. ამ კაშხლის ავარიული განტვირთვა წამში 7000 კუბური მეტრია. კაშხალი გამოიმუშავებს 670 მეგავატ ელექტროენერგიას.

**ბორჩხა** 300 მეგავატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. ის კლდოვანი ტიპის კაშხალია. აქვს ორი ტურბინა. ბორჩხის კაშხლის ავარიული განტვირთვა დერინერისაზე უფრო მეტია - 9600 კუბური მეტრი წამში.

**მურათლი** გამოიმუშავებს 115 მეგავატ ენერგიას. ამ დროისთვის ეს კაშხალი მოქმედებს, მაგრამ არა მთელი სიმძლავრით. დღეისათვის იგი 100 მეგავატს გამოიმუშავებს. ამ კაშხლის შემთხვევაში რისკის ფაქტორი კიდევ უფრო იზრდება. ავარიული გაშვება - 10961 კუბური მეტრი წამში.

ჭოროხზე სულ თერთმეტი კაშხლის აშენება იგეგმება. ამ შეხვედრაზე ხუთი კაშხალი განიხილებოდა. მეოთხე **იუსუფლი** იყო, რომლის მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა. მეხუთე - ჭოროხის ერთ-ერთ შენაკადზე - **ბერთაზე** აშენდება.

ავარიული გაშვებების სტატისტიკის მოსმენის შემდეგ, ქართველმა სპეციალისტებმა შეშფოთება ერთმანეთს გაუზიარეს: **"ეს კატასტროფაა, ჭოროხის გამტარუნარიანობა მხოლოდ 4000 კუბური მეტრია წამში. წყალდიდობის შემთხვევაში ყველაფერი წაილეკება. თუ ავარიული გაშვება მოხდა, ბათუმიც წაილეკება და მახინჯაურიც".**

ქართული დელეგაციის შეფარულ შფოთვას თურქებმა ასე უპასუხეს: **"მდინარე ჭოროხის ნაპირი დაყოფილია დასახლებულ და დაუსახლებელ პუნქტებად. ჩვენი გათვლებით, დასახლებულ უბანში დატბორვა შესაძლებელია 500 წელიწადში ერთხელ, დაუსახლებელში კი - 100 წელიწადში ერთხელ მოხდეს".**

თურქეთის ენერგეტიკის სამინისტროს წყლის მართვის სამსახურის (DSI-ის) ართვინის განყოფილების ხელმძღვანელმა აჰმედ ჰამდი ალფასლანმა, ჟურნალისტებთან საუბრის დროს, საერთაშორისო ექსპერტების აზრი მოიშველია. **"დერინერის კაშხლების პროექტები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა და ექსპერტების მიერაა განხილული და შეფასებულია დადებითად. ბოლო წვიმების დროს დერინერის ზედა ნაწილში დიდი რაოდენობით წყალი დაგროვდა, რის შემდეგაც ართვინ-ერზრუმის ტერიტორია მთლიანად დაიტბორა. მაშინ კაშხლის ზედა ნაწილიდან წყლის გარკვეული რაოდენობა გამოვუშვით. მთლიანი განტვირთვისგან თავი შევიკავეთ, რადგან თქვენს უბანს დატბორავდა. იგივე მდგომარეობა გვქონდა ბორჩხის კაშხალთანაც, წყალმა აქ 14 მეტრით აიწია. წყალი მთლიანად არც აქ გამოგვიშვია,"** - განაცხადა მან.

ასეთი განმარტების მიღების შემდეგ, ბუნებრივ რესურსებზე ქართულმა მხარემაც გაამახვილა ყურადღება: **"როცა წყალს უშვებთ, გიფიქრიათ ფლორასა და ფაუნას რა მოსდის?"**

**"მდინარის მინიმალურ დონეს - წამში 30 კუბურ მეტრს ყოველთვის ვუშვებთ. ზამთარში გამოშვებული წყლის რაოდენობა 300-400 კუბურ მეტრს აღწევს. წყლის ეს რაოდენობა ფლორასა და ფაუნას საფრთხეს არ უქმნის. დერინერის მშენებლობის დასრულების შემდეგ 2 მილიარდი კუბური მეტრი წყალი დაგროვდება, მაშინ უფრო მეტი წყლის გამოშვება შეიძლება, თანაც - სტაბილურად,"** - ბრძანა აჰმედ ჰამდი ალფასლანმა.

**"რა ღონისძიება უნდა გაატაროს ჩვენმა მთავრობამ, ავარიული გამოშვებისთვის როგორ მოვემზადოთ?"** - იკითხა ქართულმა მხარემ.

თურქებმა ამ კითხვასაც პირდაპირ უპასუხეს: **"მთავრობა ვერაფერს გააკეთებს. მდინარის კალაპოტი ჩვენთან უფრო ვიწროა, ვიდრე თქვენთან. ავარიული გაშვების დროს ჩვენი ტერიტორიები უფრო მასშტაბურად დაიტბორება. ჩვენთვის ამ ეტაპზე მთავარია კაშხლის უსაფრთხოება, დანარჩენი მერე. საერთოდ კი, ავარიული გაშვება მსოფლიოში არსებულ არც ერთ კაშხალზე არ არის ბოლომდე გამორიცხული."**

მეზობლებს ავარიული განტვირთვის მაქსიმალური დონე გათვლილი აქვთ ნალექზე და თოვლზე, თუმცა ქართველი სპეციალისტები ამ შემთხვევაში საშიშროებას გამორიცხავენ. მათი თქმით, ავარიული განტვირთვა შეიძლება მაშინ იქცეს კატასტროფად, როცა, დავუშვათ, მთა მოწყდება და ჩავარდება დაგუბებულ წყალში.

## დადებითი მომენტები

ყველაფრის მიუხედავად, კაშხლების მშენებლობას თავისი დადებითი მხარეც აქვს. მთელი წლის განმავლობაში 400 კუბური მეტრი წყალი ჩვენმა ენერგეტიკოსებმაც შეიძლება მოიხმარონ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერგეში შეიძლება 80 მეგავატის სიმძლავრის სადგური ავაშენოთ.

გარდა ამისა თურქეთის რიგითი მოქალაქეები, ძირითადად, ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები, ფიქრობენ, რომ კაშხლების ამოქმედების შემდეგ მათი კუთხე გამდიდრდება. მათ კაშხლებთან დაკავშირებით ერთი რამ ადარდებთ - ადრე, უბედური შემთხვევის შემდეგ, მდინარეში დაღუპული ადამიანების გვამებს ან თავიანთ ტერიტორიაზე, ან ბათუმში პოულობდნენ, ახლა კი ეს შეუძლებელია - მდინარეში ავტომანქანით გადაჩეხილ სამ მგზავრს უკვე ოთხი თვეა ამაოდ ეძებენ...

■ ■ ■

შეხვედრის დასრულების შემდეგ ინტერვიუ ვთხოვეთ თავად ამ შეხვედრის ინიციატორს, აჭარის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველოს უფროსს ირაკლი გორაძეს.

**- ბატონო ირაკლი, რა იყო შეხვედრის მიზანი?**

- ჭოროხის კალაპოტის მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ მარადიდიდან მოულოდნელი წყალმოვარდნები, რის შემდეგაც მდინარის კალაპოტის გასწვრივ არსებული ფართები დაიტბორა, კაშხლების მშენებლობას უკავშირდება. ისინი დახმარებას ითხოვენ, ამიტომ მივმართეთ თურქეთის საკონსულოს ამ შეხვედრის ორგანიზებისათვის, რათა ადგილზე გაგვეცნო მდგომარეობა.

დღეს ვისაუბრეთ უსისტემო გაშვებებზე. ჩვენი წუხილი თურქულმა მხარემ გაიზიარა. შევთანხმდით, რომ ამიერიდან წყალსამეურნეო სამსახური წინასწარ დაგვიკავშირდება და წყლის მოსალოდნელ გაშვებაზე გაგვაფრთხილებს. ეს საშუალებას მოგვცემს, მოსახლეობას მოსალოდნელი წყალმოვარდნების შესახებ ინფორმაცია დროულად მივაწოდოთ. ამით თავიდან ავიცილებთ ზარალს - საუბარია ადამიანებისა და პირუტყვის უსაფრთხოებაზე.

დღეს, აგრეთვე, გაგვაცნეს იმ კაშხლების ტექნიკური დახასიათება, რომლებიც ართვინის ვილაიეთში შენდება. უკვე კაშხლების ჰიდროგრაფიულ რეჟიმზეც გვაქვს წარმოდგენა.

**- ჩვენთან ბევრს საუბრობენ იმაზეც, რომ კაშხლების წყალობით ბათუმისა და ქობულეთის ნაწილს ზღვა მიიტაცებს.**

- ადლიის ნაპირის გამაგრება მართლა ხდებოდა ჭოროხის შესართავთან არსებული ნატანით და, ბუნებრივია, კაშხლების აშენებით დინების ქვედაწელში ნატანი კიდევ უფრო შემცირდება, მაგრამ ის პრობლემები, რომლებიც შავი ზღვის მონაკვეთზე გვაქვს, მანამდეც არსებობდა. ჭოროხის ნატანი აქამდე კანიონში იყრებოდა. ყველამ ვიცით, რომ ჩვენთან ნაპირსამაგრი სამუშაოები ბოლო ათწლეულის განმავლობაში არ ჩატარებულა.

# "სააკაშვილის საჩუქარი" გაძარცულია?

## "ეს აბსურდული ბრალდებაა," - აცხადებს ქართული მხარე

პირველი გვერდიდან

სოხუმის ცენტრში მდებარე სამშენებლო მასალების ერთ-ერთ მაღაზიაში გვაცნობეს, რომ ზარალი, მინიმუმ, 40 ათას დოლარს შეადგენს. მეწარმეები შექმნილი ვითარებით შოკირებული არიან. **"დარწმუნებული ვიყავით, რომ ტვირთი ხელუხლებელი დაგვიბრუნდებოდა. ჩვენ ფოთში პრობლემის მოსაგვარებლად ფულსაც ვაგროვებდით. სინამდვილეში კი ის, რაც დაგვიბრუნეს, შეეძლოთ, საერთოდაც არ გამოეგზავნათ. ის, რაც ჩამოიტანეს, ნაგავია,"** - აცხადებენ ბიზნესმენები.

მეწარმეთა ის ნაწილი, რომელიც თურქეთიდან ტვირთის ჩამოტანაზე მუშაობს, ახლა ძალების გაერთიანებას აპირებს, რათა მომავალში, აფხაზეთისკენ მიმავალი თურქული გემების ქართველი მესაზღვრეების მიერ დაკავება აღიკვეთოს. **"გვინდა, ვიცოდეთ, აფხაზეთის საზღვაო აკვატორიის დასაცავად ჩვენი სამხედროები რა ზომებს იღებენ. მზად ვართ, მათ დახმარებაც გავუწიოთ, რათა ქართველი სამხედროების მიერ ჩვენი გემების დაკავების მცდელობა აღვკვეთოთ,"** - აცხადებს ორხან იავუზი, თითქმის გაკოტრებული ბიზნესმენი.

საქართველოს ხელისუფლება ხშირად საუბრობს აფხაზეთისკენ მიმავალი გემებისთვის ფოთში საბაჟო პროცედურების ჩატარების შესაძლებლობაზე. **"ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც გემმა საქართველოში საბაჟო კონტროლი გაიარა, თუმცა მათ გემი კი არ შეამოწმეს, არამედ გაძარცვეს. ანუ, საბაჟო შემოწმება ქართულად - ქურდობას ნიშნავს,"** - საკმაოდ ნერვიულად ამბობს ორხან იავუზი.

ტვირთის გაძარცვის გამო უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა გაერო-ც, რომელმაც აფხაზეთში ტვირთის ჩატანის ყველა ხარჯი დაფარა. გაერო-ს სპეციალურმა წარმომადგენელმა ჰაიდი ტალიავინიმ თურქულ გემზე არსებული ტვირთის აფხაზეთისთვის გადაცემა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მხრიდან კეთილი ნების ჟესტად შეაფასა. თუმცა, გაძარცული ტვირთი "კეთილი ნების ჟესტის" საერთო პერსპექტივას აბსოლუტურად ცვლის.

■ ■ ■

საქართველოს სანაპირო დაცვის ოპერატიული სამმართველოს უფროსი კობა ბოჭორიშვილი კატეგორიულად უარყოფს აფხაზური მხარის ბრალდებას და "24 საათთან" საუბარში აცხადებს, რომ აფხაზურ მხარეს ტვირთი უკლებლივ გადაეცა.

**"თურქული გემიდან ჩამოტვირთული ტვირთი ჩვენ ფოთის პორტში დავასაწყობეთ, რადგან სასაზღვრო ჯარებს ჩვენი საწყობები არ გვაქვს. ჩატვირთვის დროს კი ზუსტად იმ რაოდენობის ტვირთი ჩაიტვირთა, რაც გემიდან ჩამოვიტანეთ. ეს აბსურდული ბრალდებაა, იქ რომ ვინმეს რამე შეეცვალა, ეს ზღაპარია. ამას ფიზიკურად ვერავინ გააკეთებდა,"** - აღნიშნავს ბოჭორიშვილი.

ამას ადასტურებს სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების სამმართველოს საგამოძიებო-ოპერატიული განყოფილების გამომძიებელი რევაზ ბაბილუა, რომელიც უშუალოდ მუშაობდა ამ საკითხზე.

**"რამდენიმე კასრი საღებავი დაიღვარა, რაც ვიდეოკამერაზე დაფიქსირებული გვაქვს. შეცვლილი იქ ნამდვილად არაფერია. რაც შეეხება დოკუმენტებს, ამ ტვირთს დოკუმენტაცია მოწესრიგებული რომ არ ჰქონდა, სწორედ ამიტომ გახდა ტვირთი საეჭვო. ტვირთს მხოლოდ ერთადერთი დოკუმენტი - კარგო-მანიფესტი აღმოაჩნდა, რომელიც ტვირთს თან გავაყოლეთ. აფხაზურ მხარეს იმაზე მეტი ტვირთი გადაეცა, ვიდრე კარგო-მანიფესტშია მითითებული, რადგან გემზე აღმოჩენილ იქნა ისეთი საქონელიც, რაც კარგო-მანიფესტში აღრიცხული არ იყო. ჩვენ ეს აღურიცხავი საქონელიც გავგზავნეთ. ამ პროცედურას გაერო-ს ორი თანამშრომელი და სავაჭრო პალატის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. აფხაზური მხარისგან, სიმართლე გითხრათ, ამგვარი პოზიცია არ გამკვირვებია. მით უმეტეს, მათ იციან, რომ საქმე ჩემს წარმოებაში იყო, მე აფხაზეთის უშიშროება ოფიციალურად მეძებს, რადგან ომის მონაწილე ვარ,"** - განაცხადა ბაბილუამ "24 საათთან" საუბრისას.

**24 საათი**

პრესომბუდსმენი

ნოდარ ლადარია

საშუალო სკოლიდან **ნიკოლაი ნეკრასოვის** ორი თხზულება მახსოვს: ლექსი "ცეროდენა გლეხი" და პოემა "რკინიგზა". არა, ამჟამად აფხაზეთის რკინიგზის გამწვავებულ საკითხს არ ვეხები, თუმცა ზღვისპირა ლიანდაგების მიწაყრილიც საკმაოდაა სისხლით გაპოხიერებული. უბრალოდ, გასული კვირის "24 საათმა" ნეკრასოვის კიდევ ერთი ლექსი გამახსენა: "Кому на Руси жить хорошо". აბა, გადახედეთ გაზეთის პირველ გვერდებს: "ნოღაიდელი კმაყოფილია", "საგადასახადო პოლიციის თანამშრომლები რეიდებით კმაყოფილნი არიან" და, როგორც კულმინაცია, "ვლადიმერ არუთინიანის ჯანმრთელობა უმჯობესდება". მადლობა ღმერთს! — იმდენად გაუმჯობესდა, რომ უკვე ვოვათი კი არა, ვლადიმერით მოვიხსენიებთ, ჯანზე მოსულს რომ არ ეწყინოს. იქნებ თავიდანვე ასე სჯობდა?

არ ვიცი, ალბათ "24 საათმა" "რუსთავი 2"-ის ანტიპოდობა გადაწყვიტა, რომ მრავალტანჯულ ქართველ ხალხს შიშით გული არ გაუსკდეს, როგორც ლამის მე მომივიდა, როცა ამ რამდენიმე დღის წინ ეკრანზე ერთად ვიხილე **გივი თარგამაძე** და **ეკა ხოფერია**. ტელევიზორი კი ბაკურიანის ერთ-ერთი ახალი სასტუმროს ვესტიბიულში ეკიდა. უნდა გენახათ, რა ამბით მოვარდნენ ერთნაირად თავზარდაცემული ბავშვიანი ქალები და ლუდით გაჭყეპილი კაცები: არიქა, ოსეთში ომი იწყებაო! თანაც, ეს ხომ ჩვენი ძალიან თხელი შეძლებული ფენის წარმომადგენლები იყვნენ, სწორედ ისინი, ვინც საქართველოში კარგად ცხოვრობს — წარმოვიდგინოთ, რა აზრისა უნდა იყოს იარაღის გამუდმებულ ჟღარუნზე ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა, ისინი, ვისაც საქართველოში ცხოვრება უჭირს...

ადრე საზოგადოების ამ ორ ნაწილს კლასობრივ მტრებს უწოდებდნენ. სასიხარულოა, რომ დღეს მშვიდობისმოყვარეობა აერთიანებთ, თუმცა კიდევ ერთი საზიარო თვისებაც მოეძებნებათ, რომელიც უკვე ნაკლებ სასიხარულოა: **ცხადი და ნათელი შეგნება იმისა, რომ ამ ქვეყანაში ნებისმიერ საბედისწერო გადაწყვეტილებას ისე მიიღებენ, არც დაეკითხებიან**. ამ შემთხვევაში, საქმე მხოლოდ ის არაა, როგორ განვითარდება ცხინვალის რეგიონში შესაძლო ომის ერთადერთი რეალისტური სცენარი (მორიგი პროვოკაციის პასუხად ქართული ქვედანაყოფები საკმაოდ ღრმად შედიან "მტრის" ტერიტორიაზე, რუსები კონტრშეტევის შედეგად გორამდე ჩამოდიან, დანარჩენ მსოფლიოს კი უდასტურდება აქამდე ბუნდოვან ეჭვად შემოპარული აზრი, რომ იდიოტები ვართ) — მთავარი უბედურება სხვაგანაა...

აი, მაგალითად, სამხედრო ექსპერტი **კობა ლიკლიკაძე** 3 აგვისტოს ნომერში გვხიბლავს გამჭრიახობით: **"ამერიკული საზღვაო გემის შემოსვლას ორი მიზანი აქვს, ხილული და უხილავი: წაავარჯიშოს ქართველი მეზღვაურები და თანაც მიადევნოს თვალი რუსული სამხედრო ტექნიკის მოძრაობას"**. რაღა გვიჭირს! — ამერიკელებიც არ გვივიწყებენ და ასეთი ნათელმხილველიც გვყოლია. იქნებ ისიც გვითხრას ნათელმხილველმა, როგორ იხარჯება საქართველოს შეიარაღებული ძალების გაზრდილი ბიუჯეტი? ამბობენ, ძალიან წარმატებით ჩაიარა ცოტა ხნის წინათ სატანკო სწავლებამ. საქართველოს თითებზეა ჩამოსათვლელი ადგილები, სადაც ტანკების გამოყენება ეფექტური შეიძლება იყოს. ნუთუ მაინცდამაინც იმ ადგილებში მოგვიწევს ბრძოლა სამშობლოს დასაცავად? — რამდენი ხანია, ვინმე ჭკვიანს ველოდები, იქნებ გამარკვიოს, რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი უსაფრთხოებისთვის სატანკო მანევრებს. მაგრამ ჩვენი ნათელმხილველი




ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



სხვა რამითაა დაკავებული: იგი მოძველებული ამერიკული ხომალდის ღირსებებს გვამცნობს და თან მეორე რანგის კაპიტნის, **გოჩა ვერტიაკოვის** სიტყვებს იმოწმებს: **"შემიძლია ვთქვა, რომ მთელი ქართული ჯარი შიგნით განთავსდება. ძალიან დიდი ხომალდია, შეუძლია ერთი სრული ბატალიონი, შეიარაღებითა და ლოგისტიკური უზრუნველყოფით გადაიყვანონ ნებისმიერ წერტილში, სადაც დასჭირდებათ"**. მალადეც, ვერტიაკოვო! — ოღონდ, გაგვაგებინე, სახელმწიფო საიდუმლოებას იცავ, სულელები გგონივართ, თუ შენ თვითონ არა ხარ აზრზე? ჯერ თქვა, მთელი ქართული ჯარი ჩაეტევაო, მერე — ერთი ბატალიონიო. მაგრამ ბატალიონი სადღაც 800-900 მებრძოლია. რაო, ამაზე მეტი არაა "მთელი ქართული ჯარი"? თანაც ეს ყმაწვილი საქართველოს საზღვაო თავდაცვითი ძალების სარდლის მოვალეობის შემსრულებელია (მეორე რანგის კაპიტანი!). ნეტა, ყველა მასეთი ქორი და არწივი გვყავს სამეთაურო შემადგენლობაში? — დაიწყებს ეს ხალხი ომს, აბა, რას იზამს: როგორც იტყვიან, არც ჭკუა დაუშლის და არც თანამდებობა.

თანაც ნებისმიერ წერტილში მიიყვანსო! ნეტა, ის ხომ არ ჰგონია, ცხინვალის ცენტრშიც ჩააგდებს ღუზას ეგ "ნეშვილია" თუ რაღაცა? ნათელმხილველმა ლიკლიკაძემ გვახარა, ნახევარი მილიონი დოლარი ღირსო ეს გემი. არა, **მერილინ მონროს** ნაქონი ბიდე თუ ამ ფასად გაიყიდებოდა, გასაკვირი არ იქნებოდა, მაგრამ სამხედრო გემი?! გამარჯვებული ხალხის ტელევიზია კი... არ გადამრიოთ, უკვე დაგავიწყდათ? "რუსთავი 2"-ს ერქვა ასე... ჰოდა, ეს ტელევიზია ყურებს გვიჭედავდა სამი დღის განმავლობაში: **"175-მეტრიანი ამერიკული სამხედრო ხომალდი..."** — რაც თავი მახსოვს, გემის უმთავრესი მახასიათებელი წყალწყვაა, სიგრძე კი სულაც არაა არსებითი. თუ ჩვენი შეიარაღებული ძალები და მეოთხე ხელისუფლება ამ დონის პროფესიონალიზმით იკვეხნის, ნამდვილად ვერ ჩავაგდებთ ღუზას ცხინვალის ცენტრში. ჩვენი ნათელმხილველიც არაფერს გვეუბნება იმის თაობაზე, რატომ არ მსახურობენ ჯარში ის პირები, რომელთა სამხედრო განათლებაზე მეგობარმა ქვეყნებმა ათეულობით ათასი დოლარი და ევრო დახარჯეს. მაგრამ რას ვერჩით ნათელმხილველს, მან ხომ "ნეშვილის" ორმაგ ფუნქციას მიაგნო, ჰოდა, თვალებიც დაეღალა...

ამიტომაც არ უნდა გვიკვირდეს, რომ საქართველოში მედია-საბჭოს დაფუძნებასა და ფუნქციონირებას თვით ჟურნალისტები უშლიან ხელს. სწორედ ამ თემას შეეჭიდა **ნინია კაკაბაძე** 5 აგვისტოს ნომერში. მოკლედ, მისი სტატიის პათოსი შემდეგია: ქართული მედია აღსავსეა გაუგონრად უნიჭო ტექსტებით, რომელთაც ჟურნალისტები კრიტიკას უწოდებენ, ხელისუფლება კი სიტყვის თავისუფლებად ნათლავს. ჩვენს ავტორს ამგვარი ტექსტის რამდენიმე სათაურიც მოჰყავს, როგორც ვფიქრობ, საკუთარი გამოგონებისა: "რომელ ფეხსაცმელში მალავს ოქრუაშვილი ფულს", "ვისი სისხლი დალია კახა ლომაიამ" და ა. შ. ბუნებრივია, არავის უნდა მედია-საბჭოს დაარსება, რადგან ეს ავტომატურად გულისხმობს პროფესიული მოთხოვნების ამაღლებას.

ლოგიკურად ყველაფერი სწორია, ამას არც ვეკამათები, მაგრამ უბედურება ისაა, რომ სინამდვილე ყოველგვარ ფანტაზიას სჭარბობს. უფრო გასაგებად ავხსნი.

არასოდეს ვიყავი მაღალი აზრისა საქართველოში გავრცელებულ განათლების დონეზე (ეს ნაწილობრივ ცხადყო ეროვნული გამოცდების წინასწარმა შედეგებმა), მაგრამ არა მგონია ზემოთ მოყვანილი მოგონილი სათაურები ბევრს ვისმე შეაცდენდეს. ყველასათვის ცხადია, რომ დაბალხარისხოვან მედია-პროდუქციასთან გვაქვს საქმე. გაცილებით უფრო საშიშია ის ენა, აზროვნების სტილი და, ბოდიში ამ სიტყვისთვის, მენტალობა, რომელსაც ამკვიდრებს ქართული მედია მასობრივ მომხმარებელში. აბა, ვნახოთ რეალური და არა მოგონილი მარგალიტები: **"იეღოველთა მოძალებული პარპაში"**, **"სოროსის მიერ ხელდასხმული სხვადასხვა ჯურის სატანური სექტები"**, **"სატანისტური იუდაიზმი"**, **"სომხებმა საქართველოს საპატრიარქოსთან შეთანხმება დაარღვიეს და სამსარის ეკლესია სომხურად აკურთხეს"**. ეს მარგალიტები ალალბედზე აკრეფილია შემდეგი გაზეთებიდან: "ჯორჯიან ტაიმსი", "მეოთხე", "რეზონანსი". მაგრამ ამჯერად "ცხელ ათეულში" გაზეთი "ასავალ-დასავალი" ლიდერობს თავისი შედევრით **"ჩეჩმიაძინი"**. ხომ გასაგებია, რას გულისხმობენ? — სხვათა შორის, არა მგონია, სომხურ მედიაში, მაგალითად, **სერგი ფარაჯანოვის** სიკვდილის შემდგომ ქართულ კინოხელოვნებას ახასიათებდნენ როგორც **"ქუნემატოგრაფს"**, თუმცა ეს სიმართლესთან საკმაოდ ახლოს იქნებოდა. ჩვენ კი სომეხ ხალხს უმთავრესი სიწმინდე ამოვუსვარეთ ნეხვში და ამის შედეგად თვითკმაყოფილებითა ვართ სავსე. მოდი და ნუ დაიჯერებ, რომ ახალქალაქის რაიონის სოფელ სამსარის ეკლესიაში ქართველ ბერებსა და სტუდენტებს ვანდალური აქტები არ ჩაუდენიათ, — იზამდნენ, ბატონებო, იზამდნენ, რადგან ამგვარი სულისკვეთებით ზრდის მათ საქართველოში გაბატონებული "სიტყვის თავისუფლება".

უბედურება ის კი არაა, როცა შენს ღირსებას შელახავენ, არამედ ის, როცა ამას ვერ ამჩნევ. სწორედ ასე შეუმჩნევლად ილახება ქართველი ხალხის ღირსება, ასე შეუმჩნევლად, ეროვნული სიამაყით ბრმად აღვსილნი ვკარგავთ ადამიანურ სახეს. საიდან მოდის ეს უცნაური სენი? ნუთუ **ალექსანდრე დუგინის** ევრაზიული ოცნებებიდან? ერთ-ერთ თავის თხზულებაში ეს გრაფომანი, რომელსაც ბოლო დროს ძალიან ელოლიავებიან ქართველი სასულიერო წრეები, ასეთ რამეს წერს: **"რუსებს სამ რამეს გავახსენებდი: პირველი, რომ რუსები არიან; მეორე, რომ მართლმადიდებლები არიან; და მესამე, რომ ადამიანები არიან"**. საინტერესო აზრია, არა? მაგრამ სანამ ნიშნის მოგებით გაიცინებდე, მკითხველო, დაფიქრდი, იქნებ ჩვენც უკვე ვცხოვრობთ იმ უკუღმართ სინამდვილეში, სადაც მსგავსი აზრები შეიძლება წარმოიშვას, და ვერ კი ვამჩნევთ ამას?

ამ სინამდვილეში კი ნამდვილად ცინიზმია ნოღაიდელისა და საგადასახადო პოლიციის კმაყოფილებაც და მასზე ლაპარაკიც. რაც შეეხება ვლადიმერ (ვოვა) არუთინოვ-არუთინიანის გაუმჯობესებულ ჯანმრთელობას, როგორც ეტყობა, მისი ნატანჯი სხეული გარშემო გამეფებული მარაზმიდან იღებს საჭირო ენერგიას.

## ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი", „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.

# ჰესების რეაბილიტაცია - პირველი რიგის პრიორიტეტი?

*გენერაციის ობიექტების მშენებლობა და არსებულის რეაბილიტაცია, მათი წარმოების მასშტაბების ზრდის მიზნით, საქართველოს მთავრობის ენერგოპოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტთაგანია. ცენტრის ექსპერტები ხელისუფლების ამ პრიორიტეტს, უდავოდ მეტად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, რადგან ეს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი გზა გახლავთ. ამიტომ, ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც ქვეყნის გენერაციის გაძლიერებას ემსახურება, ცალსახად მისასალმებელია. მით უფრო, თუ საკითხი განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებას ეხება.*
*ამიტომ, "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" დღეს ეხმაურება გასულ კვირას გამართულ ღონისძიებას, რომელიც განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისების ხელშეწყობას მიეძღვნა. მათ შორის - მცირე ჰესების მშენებლობა-რეაბილიტაციის პერსპექტივას. თუმცა, აქვე, დღეს არ შეიძლება არ გაკეთდეს აქცენტები იმ პრობლემებზე, რომლებიც ხელისუფლებას შედარებით მასშტაბური ჰესების რეაბილიტაციაში შეექმნა და რომლებიც ასევე გასულ კვირას გახდა ცენტრისთვის და საზოგადოებისთვის ცნობილი:*

### მთავრობა მცირე ჰესების რეაბილიტაციას გეგმავს

საქართველოში მცირე ჰესების რეაბილიტაციის პროცესი უახლოეს მომავალში დაიწყება და პირველ ეტაპზე, ყოველწლიურად დამატებით 40-45 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგიის წარმოება იქნება შესაძლებელი.

ენერგომომარაგებისთვის განახლებადი ენერგორესურსების ათვისების საკითხებზე საქართველოს მთავრობის და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ხუთშაბათს სასტუმრო "ვარაზში" იმსჯელეს.

საქართველოს მთავრობის პროექტი "საქართველო - განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისების ხელშეწყობა ადგილობრივი ენერგომომარაგების მიზნით" თავდაპირველად, გათბობისა და ცხელი წყლით მომარაგების მიზნით, გეოთერმული რესურსების მოხმარებისა და ადგილობრივი ელექტროენერგიის წარმოებაში მცირე ჰესების გამოყენებისთვის ხელშეწყობას ითვალისწინებს. ამ სექტორში პირველი პროექტების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში კი, შესაძლოა, სხვა განახლებადი ენერგორესურსების - მზის და ქარის ენერგიის გამოყენების საკითხიც განიხილონ.

საპილოტო პროექტების განხორციელებისთვის, საგრანტო რესურსებით შეიქმნება განახლებადი ენერგეტიკის საბრუნავი ფონდი, რომელიც კერძო მფლობელობაში მყოფი მცირე ჰესების და კერძო ან მუნიციპალურ მფლობელობაში მყოფი გეოთერმული ცხელი წყლით მომარაგების სისტემების სარეაბილიტაციოდ შეღავათიან სესხებს გასცემს.

პროექტის "საქართველო - განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისების ხელშეწყობა ადგილობრივი ენერგომომარაგების მიზნით" ბიუჯეტი 13 986 აშშ დოლარს შეადგენს. მათ შორისაა 4.300 მლნ აშშ დოლარი - გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) გრანტი, რომელიც გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) მეშვეობით გაიცემა;

5.113 მლნ ევრო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის გრანტი - გაიცემა გერმანიის განვითარების ბანკის (KFW) მეშვეობით.

პირველი საპილოტო გეოთერმული პროექტის ღირებულება 3.94 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს და მისი განხორციელების შემთხვევაში თბილისში, საბურთალოს რაიონის, დაახლოებით, 27 ათასი მაცხოვრებელი ცხელი წყლით უზრუნველყოფილი იქნება. რაც შეეხება მცირე ჰესებს, პირველად 6-9 ჰესის რეაბილიტაცია იგეგმება და პროექტების ჯამური ღირებულება 8 მლნ აშშ დოლარია.

### "კეხვიჰესის" რეაბილიტაცია გრძელდება

კონფლიქტურ ზონაში მდებარე "კეხვიჰესის" რეაბილიტაცია გრძელდება. ამ ერთი თვის წინ, ენერგეტიკის მინისტრის მიერ საზეიმოდ გახსნილი სადგური ახლა კაპიტალური რემონტისთვისაა გაჩერებული. როგორც სადგურის მეპატრონეები აცხადებენ, სადგურის სრული სიმძლავრით ამუშავება ზამთრის დაწყებამდე უნდა მოესწროს.

კაპიტალური შეკეთების მიზნით, ჰესზე ამ ეტაპზე მუშა ტურბინის დემონტაჟს იწყებენ. კაპიტალურად უნდა გარემონტდეს წყალგამყვანი არხიც. სამუშაოები, სავარაუდოდ, თვენახევარს გასტანს.

რეგიონში მიმდინარეობს გამრიცხველიანების პროცესიც.

მანამდე კი, სანამ მცირე ჰესების რეაბილიტაციის პროექტი გააქტიურებულა, საქართველოს ხელისუფლება შედარებით მასშტაბური ჰესების რებილიტაციას ახორციელებს, სადაც სერიოზული პრობლემები უკვე დაფიქსირდა:

### "ლაჯანურჰესის" რეაბილიტაციაში პრობლემები შეიქმნა

იაპონური კრედიტით "ლაჯანურჰესისთვის" შეძენილი მოწყობილობების ნაწილი შეიძლება გადასაყრელი გახდეს. ეს ინფორმაცია გასულ კვირას სააგენტო "ინტერპრესნიუსმა" გაავრცელა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის, არჩილ ნიკოლაიშვილის განცხადებაზე დაყრდნობით. მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, იაპონური კრედიტით "ლაჯანურჰესისთვის" ფრანგულმა კომპანია "ალსტომმა" 20 მლნ. დოლარის ღირებულების მოწყობილობებისა და სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების ვალდებულება აიღო. შეძენილი მოწყობილობებიდან დაახლოებით 5 მლნ. დოლარის აპარატურა კოდიფიცირებულია. **"ალსტომმა" ჰესის რეაბილიტაცია უპასუხისმგებლოდ მიატოვა, აპარატურა მოგვიყარა და ის მოწყობილობები, რომლებიც კოდიფიცირებულია, ფაქტობრივად, გადასაყრელი გვიხდება. აპარატურის პროგრამები და კოდები ფრანგულ კომპანიას აქვს და მათ გადმოცემაზე უარს აცხადებს,"** - ამბობს ნიკოლაიშვილი.

მეტიც, "ალსტომი" ქართული მხარისგან ჯარიმის სახით 600 ათასი ევროს გადახდას ითხოვს. "ეს მათი მხრიდან გაუგონარი ქმედებაა, რადგან ის მოწყობილობები, რომელთა დამონტაჟებაც "ალსტომმა" მოასწრო, კონტრაქტით გათვალისწინებული ვადების უხეში დარღვევით, უხარისხოდ არის შესრულებული და, რაც მთავარია, ყოველგვარი გარანტიის გარეშე," - განაცხადა მინისტრის მოადგილემ. შეგახსენებთ, რომ რეაბილიტაციის პროექტი 2003 წლის ბოლოსთვის უნდა დამთავრებულიყო.

**"თანხა მოწყობილობებისათვის მთლიანად გადახდილია. რაც შეეხება სამონტაჟო სამუშაოებს, დღეისათვის "ალსტომის" მიერ კონტრაქტით გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობის 30 პროცენტია შესრულებული, ხოლო მოწოდებულ მოწყობილობებზე "ალსტომის" მხრიდან არავითარი გარანტია არ არსებობს,"** - აღნიშნავს ნიკოლაიშვილი.

"ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, "ალსტომის" ქმედების მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება "ლაჯანურჰესის" რეაბილიტაციის დასრულებას საკუთარი შესაძლებლობებით გეგმავს. 17 მლნ. დოლარის ღირებულების მოწყობილობის ნაწილს, რომელიც ამჟამად ჰესის ეზოში აწყვია, ქართული კომპანიები დაამონტაჟებენ. არჩილ ნიკოლაიშვილის თქმით, გადასაყრელ მოწყობილობებს სხვა კომპანიების მიერ წარმოებული მოწყობილობები ჩაენაცვლება. **"ამაშიც დამატებითი თანხების მოძიება დაგვჭირდება. იაპონური კრედიტიდან 6 მილიონი ლარი ჯერ კიდევ ასათვისებელია. ამასთან, ჰესის ტრანსფორმატორებისა და მეორე ჰიდროაგრეგატზე სარეაბილიტაციო სამუშაოების გაგრძელებისათვის ბიუჯეტში დამატებით 2 მილიონი ლარია გათვალისწინებული. "ლაჯანურჰესში" სამივე აგრეგატის რეაბილიტაცია მომავალი წლის ივლისში დასრულდება,"** - განაცხადა ნიკოლაიშვილმა.

### "ინტერ რაოს" "ხრამჰესი-1"-ის რეაბილიტაცია არ დაუსრულებია

გასულ კვირას ცნობილი გახდა ისიც, რომ პრობლემებია "ხრამჰესი-1"-ის რეაბილიტაციის პროცესის ირგვლივ. როგორც არჩილ ნიკოლაიშვილი ამბობს, "ინტერ რაოს" "ხრამჰესი-1"-ის რეაბილიტაცია არ დაუსრულებია. კერძოდ, "ინტერ რაომ" "ხრამჰეს-1"-ში 4 მლნ. დოლარი დახარჯა, მაგრამ ჰესის მთავარი მოწყობილობები, რომლებიც ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ, ძველი დატოვა.

**"მოწყობილობები სავალალო მდგომარეობაშია. გენერატორები, რომელიც ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ, ძალიან ძველია. თუ ისინი არ შეიცვალა, ყოველწლიურად პრობლემები გვექნება. ჰესის შენობის კოსმეტიკური რემონტი და ქვესადგურის შეცვლა ძალიან კარგია, მაგრამ ელექტროსადგურის გენერაციას ვერ გააუმჯობესებს,"** - აცხადებს ნიკოლაიშვილი.

"ხრამჰესი-1"-ის სრულ რეაბილიტაციას, საშუალოდ, 15-17 მლნ. ლარი სჭირდება. **"იმის გამო, რომ რეაბილიტაცია ძვირი ჯდება, გენერატორები ცვეთამდე არ უნდა ვამუშაოთ. მათი დაზიანების შემთხვევაში, აღსადგენად გაცილებით მეტი თანხები იქნება საჭირო". ანალოგიური მდგომარეობაა "ხრამჰესი-2"-ში N1 ჰიდროაგრეგატზე,"** - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

თუ "ინტერ რაო" ჰესების რეაბილიტაციას სრულყოფილად არ განახორციელებს, ნიკოლაიშვილი რუსული კომპანიისთვის მართვაში არსებული ჰესის ჩამორთმევის საკითხის დასმასაც არ გამორიცხავს.

### "შაორჰესის" სიმძლავრე განახევრებულია

რაც შეეხება "შაორჰესის" რეაბილიტაციის მდგომარეობას - ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის არჩილ ნიკოლაიშვილის განცხადებით, ტურბინის მუშათვლებისა და სხვა ძირითადი მოწყობილობების უვარგისობის გამო "შაორჰესის" სიმძლავრე განახევრებულია.

**"მდგომარეობის გამოსწორებისთვის აუცილებელია ორი მუშა-თვალის დამზადება და დამონტაჟება. დამზადების შესახებ შეკვეთა უკვე გაკეთებულია და მოწყობილობებს ავსტრიული კომპანია "ფოიტი" ამზადებს,"** - განაცხადა ნიკოლაიშვილმა.

მისივე თქმით, "ფოიტის" მიერ დამზადებულ მოწყობილობებს ქართველი სპეციალისტები ავსტრიელი კოლეგების კონსულტაციების მიხედვით დაამონტაჟებენ. სამონტაჟო სამუშოები მომავალ წელს გაგრძელდება.

"მომავალ წელს "შაორჰესის" რეაბილიტაციისთვის 4 390 000 ლარი იქნება საჭირო. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, "შაორჰესი" სრული სიმძლავრით იმუშავებს და სისტემას 22 მეგავატი სიმძლავრე შეემატება," - განაცხადა ნიკოლაიშვილმა. 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან "შაორჰესის" რეაბილიტაციისთვის დაახლოებით 2 300 000 ლარია გამოყოფილი.

"შაორჰესზე" სულ ოთხი აგრეგატია, თითოეული - 11 მეგავატის სიმძლავრით. ამჟამად მხოლოდ ორი აგრეგატი მუშაობს.

### "გუმათჰესისთვის" ტურბინას რუსული კომპანია ამზადებს

"გუმათჰესისთვის" კი ტურბინას რუსული კომპანია "ელემზე" ამზადებს.

რუსულმა კომპანიამ, რომლის მოწყობილობებიც საქართველოში კარგად არის აპრობირებული, ქართველებს შეღავათი გაუკეთა და ტურბინას შედარებით მოკლე ვადაში დაუმზადებს.

"ქარხნებში დიდი რიგებია, რადგან ბევრი შეკვეთები აქვთ. რუსულმა მხარემ გაითვალისწინა ჩვენი თხოვნა და ტურბინის დამზადებას შედარებით მოკლე დროში, 16 თვეში დაგვპირდა," - განაცხადა ნიკოლაიშვილმა.

მისი თქმით, "გუმათჰესის" ერთი აგრეგატი, იმის გამო, რომ ტურბინა არ აქვს, 10 წელია, გაჩერებულია. სისტემა ამით 11 მეგავატ სიმძლავრეს კარგავს. "გუმათჰესის" რეაბილიტაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

# ელექტროენერგიის საფასური დამრგვალდება

დამატებული ღირებულების გადასახადის 18 პროცენტამდე შემცირებამ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გაანგარიშება გაართულა.

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკ-ი) ენერგეტიკული სექტორების ტარიფების დამრგვალების შესახებ გადაწყვეტილების პროექტი მოამზადა, რომელიც მომხმარებლის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ანგარიშსწორებას გაამარტივებს.

როგორც ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ გიორგი თავაძემ განაცხადა, 1 ივლისიდან ძალაში შევიდა დღგ-ს 18-პროცენტიანი განაკვეთი, რამაც ელექტროენერგიის ტარიფში ცვლილებები გამოიწვია. ტარიფი თბილისში 12,18 თეთრიდან 11,997 თეთრამდე შემცირდა.

"მეასედებსა და მეათიათასედებში ტარიფის დაანგარიშება გამანაწილებელი ენერგოკომპანიებისთვის სირთულეს წარმოადგენს, ამიტომ ვაპირებთ, ელექტროენერგიის ტარიფი ოპტიმალურ ვარიანტამდე დავამრგვალოთ," - განაცხადა თავაძემ.

მისი თქმით, ელექტროენერგიის გამანაწილებელ ენერგოკომპანიებს სემეკ-ისთვის ტარიფის დამრგვალების შესახებ თხოვნით, ჯერჯერობით, წერილობით არ მიუმართავთ. კომისიაში აცხადებენ, რომ მომხმარებლების უფლებების დაცვის მიზნით ტარიფი აუცილებლად დამრგვალდება, რათა ენერგოგამანაწილებელმა კომპანიებმა ელექტროენერგიის ტარიფი თავის სასარგებლოდ არ დაამრგვალონ.

სხვათა შორის, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ ელექტროენერგიის ტარიფების დამრგვალების საკითხი, ჯერჯერობით, გაურკვეველი დროით გადადო. შედეგად, ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგიის საფასური თბილისში კვლავ 11,997 თეთრია.

# საქართველოში მეორე გაზოტურბინის დამონტაჟების სურვილი 12-მდე უცხოურმა კომპანიამ გამოთქვა

საქართველოში მეორე გაზოტურბინის დამონტაჟების სურვილი რამდენიმე უცხოურმა კომპანიამ გამოთქვა. როგორც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ არჩილ მამათელაშვილმა განაცხადა, მეორე გაზოტურბინის დამონტაჟების ინტერესი 12-მდე უცხოურმა კომპანიამ გამოთქვა, თუმცა, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, ააშენებს თუ არა ტურბინას რომელიმე მათგანი.

"კომპანიამ, რომელიც მეორე გაზოტურბინას დაამონტაჟებს, რამდენიმე მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს. უნდა ჰქონდეს ჩვენთვის მისაღები ტარიფი, გაზოტურბინის ტექნიკური მახასიათებლები კი საქართველოს ენერგოსისტემას უნდა შეესაბამებოდეს," - განაცხადა მამათელაშვილმა.

მისივე თქმით, მეორე გაზოტურბინის დამონტაჟების ვადები შეზღუდული არ არის, ამიტომ, ენერგეტიკის სამინისტრო კომპანიებთან მოლაპარაკებებს კვლავ გააგრძელებს. "ჩვენ არსად გვეჩქარება. ყველა კომპანიისგან, რომლებმაც ინტერესი გამოხატეს, შესაბამის წინადადებებს ჯერ კიდევ ველით," - აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

საქართველოში პირველი გაზოტურბინის დამონტაჟების საკითხი უკვე გადაწყვეტილია. კომპანია "ენერჯი ინვესტი" "თბილსრესის" ტერიტორიაზე პირველი გაზოტურბინის დამონტაჟებას სექტემბრის მეორე ნახევარში დაიწყებს.

# კომუნალური მრიცხველები - თავისტკივილი რეგიონების მოსახლეობისა და მათი ოპერატორი ენერგოკომპანიისთვის

*კომუნალური მრიცხველები და მათთან დაკავშირებული პრობლემები ბოლო დროს ენერგოსექტორში ერთ-ერთ უმწვავეს თემად იქცა. საქმე იმდენად გართულდა, რომ რეგიონების მოსახლეობა ამ თემასთან დაკავშირებით საპროტესტო გამოსვლებს სულ უფრო და უფრო ხშირად აწყობს.*
*პროტესტს კომუნალური მრიცხველებით თანხების დაანგარიშების მეთოდიკა იწვევს: საქმე ის გახლავთ, რომ ეს მრიცხველები ტრანსფორმატორებზე, ან, უკეთეს შემთხვევაში, ფიდერებზე მონტაჟდება და მათი ჩვენების მიხედვით თანხის გადახდა ერთობლივად ხდება მთელი იმ მოსახლეობის მიერ, რომელიც ამ ტრანსფორმატორით ან ფიდერით იკვებება. ამავე დროს, აბონენტთა ინდივიდუალური მრიცხველების ჩვენებას საქართველოს რეგიონების ოპერატორის "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მენეჯერები არ ცნობენ. "ეს მრიცხველები ტექნიკურად გაუმართავია," - აცხადებენ ენერგოკომპანიაში და მოსახლეობას მრიცხველის მიერ ნაჩვენები თანხის სრულად დაფარვას სთხოვენ. მოსახლეობის უკმაყოფილებას მეზობლებს შორის თანხების გადანაწილების საეჭვო სამართლიანობა იწვევს: კომუნალური მრიცხველების აბონენტთათვის ხომ ყოველი თაღლითი მეზობელი - დამატებითი ხარჯია. საქმე კიდევ უფრო რთულდება, როდესაც ასეთი მეზობლები ხევს გაღმა, ან, სულაც, მეზობელ სოფლებში ცხოვრობენ... გარდა ამისა, "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ინფორმაციით, დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როცა ენერგოკომპანიამაც "შესცოდა" და კომუნალური მრიცხველის ამა თუ იმ აბონენტისთვის კომპანიის სერვისცენტრების სპეციალისტთა მიერ დაანგარიშებული თანხა არც ისე ზუსტი აღმოჩნდა, რამაც, ბუნებრივია, აბონენტთა სამართლიანი პროტესტი გამოიწვია.*

ამჟამად "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" ახალციხელი მომხმარებლები უჩივიან. მათ მხარს უჭერს ენერგეტიკის მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველი დავით ებრალიძეც. ენერგოომბუდსმენის შეფასებით, დღეს "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილ წესებს არღვევს და მომხმარებლებს აიძულებს, ელექტროენერგიის საფასური კომუნალური მრიცხველების მაჩვენებლის მიხედვით გადაიხადოს. "მომხმარებელს, რომელსაც სახლში მრიცხველი ისევ გააჩნია, უფლება აქვს, საკუთარი აღრიცხვის სისტემა მოაწესრიგოს და ანგარიშსწორება მისი მეშვეობით მოახდინოს," - აცხადებს ებრალიძე. მისივე თქმით, გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია მომხმარებელს ამის საშუალებას არ აძლევს.

"ენერგეტიკაში მომხმარებლების უფლებების დაცვის სამსახურმა მოამზადა სარჩელი, რომელიც ახალციხის სასამართლოში მოსახლეობის სახელით შევიდა. გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია ცდილობდა, სასამართლო პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულიყო, თუმცა, საპროცესო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღნიშნული საქმის განხილვა ახალციხის სასამართლოს ევალება," - განაცხადა ებრალიძემ, რომელსაც იმედი აქვს, რომ ახალციხის სასამართლო გადაწყვეტილებას მოსახლეობის სასარგებლოდ გამოიტანს.

"საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" კი ენერგოომბუდსმენის ბრალდებას უარყოფენ და აცხადებენ, რომ კომპანია კომუნალური გამრიცხველიანების დროს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ-ი) დადგენილებას არ არღვევს. როგორც კომპანიის ოპერაციათა მართვის სამსახურის უფროსმა მამუკა კიკალიშვილმა განაცხადა, სემეკ-ის დადგენილების მიხედვით, მომხმარებელს უფლება აქვს ტრანსფორმატორზე დამონტაჟებული კომუნალური მრიცხველის ჩვენება თვითონ გადაანაწილოს და საამისოდ საკუთარ ოჯახებში არსებული ძველი მრიცხველები გამოიყენოს. "ჩვენთვის მთავარია, ელექტროენერგიის საფასური ტრანსფორმატორზე დამონტაჟებული კომუნალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით მივიღოთ. მომხმარებელი თუ შეთანხმდება და ანგარიშსწორებისას ძველ მრიცხველებს გამოიყენებს, ჩვენ ამის წინააღმდეგი არ ვიქნებით, თუმცა ძველი მრიცხველები ტექნიკურად გაუმართავია და ჩვენ მათ არ ვაღიარებთ," - განაცხადა კიკალიშვილმა.

მისივე თქმით, ახალციხეში კომპანიას მხოლოდ ოთხმა აბონენტმა უჩივლა. "მომჩივანი აბონენტები, ძირითადად, არგადამხდელი მომხმარებლის კატეგორიას მიეკუთვნებიან. ისინი წლების განმავლობაში ელექტროენერგიას რამდენიმე წყაროს მეშვეობით თითქმის უფასოდ იღებდნენ. ამიტომ, ელექტროენერგიის საფასურის გადახდა არ სიამოვნებთ," - აღნიშნა კიკალიშვილმა.

აქვე, მისი განცხადებით, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" კომუნალურ გამრიცხველიანებასთან დაკავშირებით სემეკ-ის მოთხოვნებს აუცილებლად შეასრულებს. როგორც კიკალიშვილი აღნიშნავს, კომპანია სემეკ-ის მოთხოვნას დააკმაყოფილებს და ერთი კომუნალური მრიცხველით ელექტროენერგიას 70-ზე მეტ აბონენტს არ მიაწვდის. "სემეკ-ის ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დამატებით 3 500 კომუნალური მრიცხველი გვჭირდება. 1 300-ს უახლოესი თვენახევრის განმავლობაში დავამონტაჟებთ. სამონტაჟო სამუშაოები ამის შემდეგაც გაგრძელდება. ერთი მრიცხველის დამონტაჟება კომპანიას 500 ლარი უჯდება," - განაცხადა კიკალიშვილმა.

სხვათა შორის, პრობლემის გამწვავება სემეკ-მაც იგრძნო და "საერთო მოხმარების მრიცხველის მქონე აბონენტების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესის შესახებ" დადგენილებაში ცვლილებები შეიტანა. კერძოდ, "სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" დაევალა, რომ ერთი კომუნალური მრიცხველით მხოლოდ 70-მდე აბონენტი მოამარაგოს. ამჟამად პრობლემა 1500-მდე ტრანსფორმატორზე არსებობს. თითოეული ტრანსფომატორიდან ელექტროენერგიას 220-260 აბონენტი იღებს. ერთი კომუნალური მრიცხველის ჩვენება აბონენტთა ამ რაოდენობაზე იყოფა, რაც ანგარიშსწორებაში პრობლემებს წარმოქმნის.

ერთი სიტყვით, პრობლემა მწვავეა და მისი გადაჭრის პერსპექტივა, ჯერჯერობით, არც ისე ნათელია. მით უფრო, რომ ერთადერთი სწორი გამოსავალი - რეგიონების მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანებაა, რასაც ძალიან დიდი თანხები და რესურსები სჭირდება. სხვა თუ არაფერი, საქართველოს გეოგრაფიული თავისებურებებიდან გამომდინარე, მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობისთვის მიწოდებული დენის ზუსტი და სამართლიანი აღრიცხვა უამრავ ტექნიკურ პრობლემასთანაა დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" ამ პრობლემის მოგვარება საკუთარი რესურსებით არ ძალუძს, დონორების დახმარება კი უფრო მნიშვნელოვან პრობლემას - გადადინების წერტილების გამრიცხველიანებას ხმარდება, რაც სავსებით გამართლებულია.

"ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ ვინაიდან დღეს "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" მთელი ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის ინდივიდუალურად გამრიცხველიანებისთვის ფინანსური სახსრები არ ჰყოფნის, პრობლემის მოგვარება ამ ეტაპზე მხოლოდ ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფების სტიმულირებითაა შესაძლებელი, რომლებიც მოსახლეობას დენის ინდივიდუალურ აღრიცხვაში დაეხმარებიან. ექსპერტთა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ეს საკითხი მხოლოდ და მხოლოდ ენერგოკომპანიის განკერძოების შემდეგ დარეგულირდება და, ისიც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორს მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანებისათვის ეკონომიკური მოტივაცია ექნება.

# თბილისს ელექტროენერგიის მიწოდება შეეზღუდება

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ "ენგურჰესზე" სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, საქართველოს ენერგოსისტემაში ელექტროენერგიის სრულად მიწოდება ვერ ხერხდება. ამის გამო, ქვეყნის ენერგოსისტემას 26 აგვისტომდე საგანგებო რეჟიმში მოუწევს მუშაობა. როგორც ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში განმარტავენ, აღდგენითი სამუშაოები გუშინ უნდა დასრულებულიყო. თუმცა, ჰესის სრულად რეაბილიტაცია, ტექნიკური პრობლემების გამო, ვერ მოხერხდა. საქართველოს ელექტროსისტემას 200 მეგავატის სიმძლავრე აკლია. მომხდარის გამო, რეგიონებთან ერთად, შეზღუდვებია დაწესებული დედაქალაქშიც. თბილისი დღის საათებში - 20, პიკის საათებში კი 40 მეგავატი ელექტროენერგიით შეიზღუდება.

# ორასი მეტრი წყალქვეშ

პირველი გვერდიდან



A-28 მოდიფიკაციის ბატისკაფი დაუზუსტებელი ცნობით, მეთევზეთა ბადეს გამოედო, რის გამოც მანევრირების უნარი დაკარგა და ბაგირებს შემოეხვია, რომლებიც წყალქვეშა ანტენას და 60-ტონიანი ორი ლუზით ამაგრებდნენ. ამის შემდეგ ბატისკაფი დაახლოებით 200 მეტრის სიღრმეზე "გაიჭედა".

ბატისკაფის ბორტზე მყოფი 7 ადამიანის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე შეექმნა. ბუნებრივია, თავიდანვე გაჩნდა ასოციცია მსგავს სიტუაციაში დაღუპულ წყალქვეშა ხომალდ "კურსკთან". ყველას კარგად გვახსოვს, როგორ ამბობდა მაშინ უკანასკნელ მომენტამდე საერთაშორისო დახმარებაზე უარს რუსეთი, რითიც, ფაქტობრივად, გაწირა 118 ადამიანი (თუმცა, რუსული საინფორმაციო საშუალებები იტყობინებოდნენ, რომ ეკიპაჟის წევრთა დიდი ნაწილი წყალქვეშა ნავზე აფეთქებისა და ჩაძირვისთანავე დაიღუპა). ასე რომ, ამჟამადაც ბატისკაფის ეკიპაჟის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო.

მაგრამ, საბედნიეროდ, რუსებმა გაითვალისწინეს წარსულის მწარე გამოცდილება და დათანხმდნენ ამერიკელების, ბრიტანელებისა და იაპონელების დახმარებაზე. აშშ-მ და ბრიტანეთმა მსგავსი ოპერაციებისთვის საჭირო აპარატები შეტყობინების მიღებისთანავე გაგზავნეს კატასტროფის ადგილზე. სამაშველო ოპერაციაში ჩართული იყო იაპონიაც, თუმცა, მისმა სამაშველო ჯგუფმა ობიექტური მიზეზების გამო შემთხვევის ადგილზე დაგვიანებით მიაღწია.

სწორედ ბრიტანულმა უპილოტო სამაშველო აპარატმა "სკორპიო"-მ ითამაშა გადამწყვეტი როლი. "უნდა აღინიშნოს მათი (ბრიტანელთა) კარგი ტექნიკური აღჭურვილობა, უმაღლესი პროფესიონალიზმი, ჩვენ მუხლს ვიყრით მათ წინაშე. სწორედ მათმა აპარატმა დაუსვა გამარჯვების წერტილი... ასეთი აპარატის გარეშე ძალიან რთული იქნებოდა ჩვენი მეზღვაურების გადარჩენა," - განაცხადა სამაშველო ოპერაციის დასრულების შემდეგ რუსეთის წყნარი ოკეანის ფლოტის მეთაურმა ვიქტორ ფიოდოროვმა.

კვირას, ადგილობრივი დროით 16.26 საათზე (გრივნიჩის დროით 03.26-ზე), ბატისკაფი წყლის ზედაპირზე გამოჩნდა. უვნებლად გადარჩა ეკიპაჟის შვიდივე წევრი. სამდღიანი ეპოპეა წარმატებით დასრულდა.

### ჟანგმოკიდებული ფლოტი

როგორც რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი ამბობს, "ბატისკაფის ეპოპეა" საბედისწერო გარემოებათა დამთხვევით იყო გამოწვეული. შესაძლოა, ეს განცხადება სიმართლესაც შეესაბამებოდეს, მაგრამ იგი რუსული არმიის და, განსაკუთრებით, ფლოტის "ავადმყოფობის" კიდევ ერთი სიმპტომია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსულ არმიაში რომ ყველაფერი რიგზე არ არის, არავისთვის საიდუმლოს აღარ წარმოადგენს. "უნებლიე შეცდომები", გახშირებული ტექნიკური გაუმართაობა და ამ ყველაფრით გამოწვეული კატასტროფები ბოლოდროინდელი რუსული არმიის მახასიათებლად იქცა. განსაკუთრებით მძიმე დღეში, როგორც ჩანს, სამხედრო-საზღვაო ფლოტი აღმოჩნდა. აშკარა ხდება, რომ რუსეთს არც მატერიალური და არც პროფესიონალური რესურსი აღარ ყოფნის ერთ დროს შიშის მომგვრელი სამხედრო მანქანის შესანახად.

ყველაზე ტრაგიკული ინციდენტი, რომელიც რუსულ ფლოტს უკავშირდება, 2000 წელს ატომური წყალქვეშა ნავის, "კურსკის" დაღუპვა იყო. მაშინ ბარენცის ზღვაში სამუდამო განსასვენებელი 118-მა მეზღვაურმა ჰპოვა. თითქოსდა, ასეთი დონის კატასტროფის შემდეგ მდგომარეობა რაიმეგვარად უნდა გამოსწორებულიყო, მაგრამ ტრაგედიები ამ სამწუხარო შემთხვევის შემდეგაც გრძელდებოდა. მაგალითად, გასულ წელს კიდევ 9 მეზღვაური დაიღუპა მოძველებული ტიპის წყალქვეშა ნავის "A-159"-ის ჩაძირვის შედეგად, თანაც რაც საოცარია, ეს ინციდენტი მაშინ მოხდა, როცა ნავი უტილიზაციისთვის გადაჰქონდათ.

ამ შემთხვევამ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა, რომ რუსული ფლოტის არა მარტო შენახვა, არამედ უტილიზაციაც კი პრობლემას წარმოადგენს. 2003 წელს რუსეთის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გააკეთა განცხადება სამხედრო ფლოტის შემცირების შესახებ, ეს მაშინ, როცა გასული საუკუნის 90-იან წლებში ათასამდე სამხედრო ხომალდი ჩამოწერეს.

ავისმომსასწავლებლად გაისმა გასულ წელს კიდევ ერთი განცხადება - თურმე, რუსეთის სამხედრო ფლოტის საფლაგმანო ხომალდი "პიოტრ ველიკი" უაღრესად მძიმე მდგომარეობაშია. შემოწმების შედეგად მაშინდელმა საზღვაო ფლოტის სარდალმა ადმირალმა კუროედოვმა "რუსული ფლოტის სიამაყის" სასწრაფოდ რემონტზე გაშვება ბრძანა.

რუსულმა ფლოტმა თავი შეირცხვინა პრეზიდენტის თვალწინაც. გასული საპრეზიდენტო არჩევნების წინ თავად პუტინს მიეცა შესაძლებლობა, ენახა, თუ რა მდგომარეობაშია ბალტიის ფლოტი. საზღვაო მანევრებისას დაგეგმილი იყო ერთ-ერთი წყალქვეშა ნავიდან კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების გაშვება. თუმცა, სწავლების დროს (უმაღლესი მთავარსარდლის თვალწინ) ვერც ერთი რაკეტა ვერ გაფრინდა. მანევრების მეორე დღეს, ერთმა სუბმარინმა მოახერხა რაკეტის გაშვება, მაგრამ იგი გაფრენისთანავე აფეთქდა. **"ძალიან გაგვიმართლა, რომ რაკეტა ნავზევე არ აფეთქდა,"** - ინციდენტის შემდეგ განაცხადა რუსმა სამხედრო ექსპერტმა პაველ ფელგენგაუერმა.

ასე რომ, ერთ დროს მსოფლიო ოკეანეში ბატონობის პრეტენზიის მქონე რუსულ ფლოტს დღეს ამბიციების დაკმაყოფილება საკუთარ წყლებში უწევს. თუმცა, იმის პასუხიც ძნელია, არის თუ არა მზად ამ ამოცანის შესასრულებლად "ჟანგმოკიდებული" რუსული ფლოტი დღეს.

# ჩიხში შესული პეკინის ექვსმხრივი მოლაპარაკებები

## "ტაიმ აუტი" სექტემბრამდე

ხათუნა გაბიევი

ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, პეკინში მიმდინარე მოლაპარაკებების მე-13 დღეს აშშ-ს, ჩრდილოეთ კორეისა და აზიის რეგიონის სხვა ოთხი სახელმწიფოს (სამხრეთი კორეა, იაპონია, ჩინეთი და რუსეთი) დიპლომატებმა გადაწყვიტეს, დროებით შეეჩერებინათ პროცესი. ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოლაპარაკებების განახლება აგვისტოს ბოლომდე აღარ იგეგმება. როგორც ჩანს, ექსპერტთა ვარაუდი გამართლდა და ჩრდილოეთ კორეამ არ ისურვა კომპრომისზე წასვლა, მოლაპარაკებაში ჩართულ მხარეთა მხრიდან ძლიერი ზეწოლის მიუხედავად.

**"ჩვენ ვერ დავთანხმდებით ჩრდილოეთ კორეას, თუნდაც სამშვიდობო მიზნებით გააგრძელოს ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მათი მხრიდან საფრთხე გამორიცხული იქნება. მე აქ იმიტომ არ გავატარე 12 დღე, რომ სახლში ცარიელი ხელებით დავბრუნდე,"** - აცხადებდა ჯერ კიდევ მოლაპარაკებების შეჩერებამდე აშშ-ს წარმომადგენელი კრისტოფერ ჰილი.

თუმცა, როგორც ჰილმა მოგვიანებით აღნიშნა, ჩრდილოეთ კორეისათვის, რომელიც დაახლოებით, 20 წელია, რაც ბირთვულ პროგრამაზე მუშაობს, ამგვარი გადაწყვეტილების მიღება საკმაოდ რთული აღმოჩნდა და საბოლოო კომპრომისის მიღწევამდე აუცილებელი გახდა მოლაპარაკებების კიდევ ერთხელ დროებით შეჩერება.

**"უამრავი კონსენსუსის მიღწევის მიუხედავად, ამ ეტაპზე საკითხის საბოლოოდ ამოწურვა ვერ მოხერხდა,"** - თქვა აშშ-ს წარმომადგენელმა.

25 ივლისს დაწყებულ მოლაპარაკებებში "ტაიმ აუტის" აღების შესახებ განცხადება შეხვედრის მასპინძელი ქვეყნის, ჩინეთის წარმომადგენელმა გააკეთა. მისი თქმით, მოლაპარაკებების 29 აგვისტოს განახლდება, თუმცა მანამდე არაოფიციალურ დონეზე პროცესი კვლავ ღიად დარჩება და მხარეებს ექნებათ საერთო ენის გამონახვის შესაძლებლობა.

**"მხარეებმა, ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით, სერიოზული, პრაქტიკული და ყოვლისმომცველი სამუშაო გასწიეს და გარკვეულ პროგრესსაც მიაღწიეს. მართალია, ეს არ არის საკითხის სრულად ამოწურვა, მაგრამ რაღაც შედეგი უკვე სახეზეა,"** - განაცხადა ჩინეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა უ დევეიმ.

ექვსმხრივი მოლაპარაკებების მეათე დღეს "სი-ენ-ენი" ავრცელებდა ინფორმაციას პროცესის ჩიხში შესვლის ალბათობის შესახებ. ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლის, საგარეო საქმეთა მინისტრის გვან კი კიმის თქმით, ათდღიანი მოლაპარაკებების შემდეგ, ერთობლივი განცხადების პრინციპების შესახებ დელეგატები შეთანხმებას მაინც ვერ ახერხებდნენ.

მოლაპარაკებების ჩიხში შესვლის გამო ჩრდილოეთ კორეა აშშ-ს ადანაშაულებს.

**"ჩვენ ბირთვული განიარაღების მომხრენი ვართ, მაგრამ გვსურს დავიტოვოთ უფლება, სამშვიდობო მიზნებით გავაგრძელოთ ბირთვულ სფეროში სამუშაოები,"** - აღნიშნა კიმმა და იქვე ისიც დასძინა, რომ ამას მხოლოდ ერთი სახელმწიფო, კერძოდ, აშშ ეწინააღმდეგება.

**"სამშვიდობო მიზნებით ბირთვულ სფეროში საქმიანობის გაგრძელებაზე არსებული აზრთა სხვადასხვაობა ის უმთავრესი ელემენტია, რაც შეთანხმების მიღწევის საშუალებას არ გვაძლევს,"** - აცხადებს კიმი.

ჩრდილოეთ კორეის ამგვარ პოზიციასთან დაკავშირებით კი აშშ-ს წარმომადგენელი კრისტოფერ ჰილი აცხადებს, რომ მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული შეთანხმება უნდა გამორიცხავდეს ყოველგვარ ბირთვულ პროგრამას ჩრდილოეთის მხრიდან. ბირთვულ პროგრამაზე საერთოდ უარის თქმის შემთხვევაში, აშშ ჩრდილოეთ კორეას ჰუმანიტარულ დახმარებასა და უსაფრთხოების სფეროში გარანტიების მიცემას ჰპირდება. ოფიციალური ფხენიანი კი მაინც მოითხოვს, შეუნარჩუნდეს ბირთვულ სფეროში საქმიანობის უფლება, რათა მიღებული პროდუქცია ენერგეტიკული მიზნებით გამოიყენოს. ელექტროენერგიის გამომუშავებისათვის მიღებული მსუბუქი წყალი კი შეიძლება თანაბარი წარმატებით იქნეს გამოყენებული სრულიად არასამშვიდობო მიზნებითაც, - აცხადებს ამერიკული მხარე.

# საფრანგეთი თურქეთს ევროკავშირში შესასვლელ პირობას უყენებს

*საფრანგეთის მთავრობის მეთაურის დომინიკ დე ვილპენის განცხადებამ - "აბსურდული იქნებოდა მოლაპარაკების დაწყება თურქეთთან, რომელიც ევროკავშირის ერთ-ერთი წევრის კვიპროსის ბერძნული სახელმწიფოს აღიარებაზე ამბობს უარს" - ევროკომისიასა და ევროპულ საბჭოში სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. დომინიკ დე ვილპენი პირველი ევროპელი ხელისუფალია, რომელმაც თურქეთს ევროკავშირში შესასვლელი პირობები ასე აშკარად წაუყენა.*

თიკო მაჭარაშვილი

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა დომინიკ დე ვილპენმა განაცხადა, რომ "აბსურდულად" მიაჩნია ისეთ ქვეყანასთან მოლაპარაკებების დაწყება ევროკავშირში შესვლის თაობაზე, რომელიც არ აღიარებს ევროპული გაერთიანების ერთ-ერთ წევრ ქვეყანას, კვიპროსის ბერძნულ სახელმწიფოს. საფრანგეთის მთავრობის მეთაურის განცხადებას სერიოზული გამოხმაურება ჰქონდა ევროკავშირის ქვეყნებიდან.

ავსტრიამ სხვა წევრ-ქვეყნებთან ერთად გამოხატა სერიოზული დაინტერესება თურქეთის საკითხთან დაკავშირებით. ლუქსემბურგი, სადაც თურქეთის საკითხმა დიდი გავლენა მოახდინა ევროპულ კონსტიტუციასთან დაკავშირებით გამართულ რეფერენდუმზე, მხარს უჭერს თურქეთის საკითხზე წინასწარი დებატების დაწყებას, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს არაფორმალურ სხდომამდე, რომელიც პირველ სექტემბერს უნდა გაიმართოს.

ანკარასთან მოლაპარაკებების დაწყებამდე, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს არაფორმალურ სხდომაზე, ევროკავშირის 25 წევრმა თურქეთის ევროგაერთიანებაში მიღების შესახებ საბოლოო პოლიტიკური აქტი უნდა წარადგინოს. დასადგენია აგრეთვე, თუ რა მიმართულებით უნდა წარიმართოს მოლაპარაკებები, რომელიც, სავარაუდოდ, მინიმუმ ათ წელს გაგრძელდება.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი დომინიკ დე ვილპენი თავისი განცხადებით დაუპირისპირდა გაფართოების ევროკომისარს ოლი რენს, რომელსაც მიაჩნდა, რომ თურქეთთან მოლაპარაკებების დაწყებისთვის ყველა წინაპირობა არსებობდა. ამ შემთხვევაში, გაფართოების კომისარი ოლი რენი ევროპული საბჭოს მიერ 2004 წლის დეკემბერში მიღებულ გადაწყვეტილებებსა და ანკარის მიერ რატიფიცირებულ პროტოკოლს "ევროკავშირი-თურქეთ"-ს ემყარებოდა. შეგახსენებთ, რომ ამ პროტოკოლს თურქეთთან ერთად ევროკავშირის ათმა ახალმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი.

საგულისხმოა, რომ ევროკავშირის მმართველებმა ეს დოკუმენტი თურქეთს, როგორც მოლაპარაკებების დაწყებისთვის აუცილებელი პირობა, ისე წარუდგინეს. 29 ივლისს თურქეთმა გამოაქვეყნა ცალმხრივი დეკლარაცია, სადაც ანკარა მიანიშნებდა, რომ ევროკავშირის მიერ წარდგენილ პროტოკოლზე ხელმოწერა თურქეთის მიერ კვიპროსის ბერძნული სახელმწიფოს აღიარებას არ ნიშნავდა.

"რა თქმა უნდა, ჩვენ მხარს ვუჭერთ, რომ თურქეთმა ცნოს კვიპროსის ბერძნული სახელმწიფო, მაგრამ ეს საკითხი პარალელურად განიხილება," - განაცხადა ევროკომისიის წარმომადგენელმა, რომელიც გაერო-ს მიერ თურქეთისა და კვიპროსის ბერძნული სახელმწიფოს საკითხის განხილვაზე მიანიშნებდა.

კვიპროსის ბერძნულმა სახელმწიფომ 2004 წლის აპრილში უარი თქვა გაერო-ს მიერ შეთავაზებულ სამშვიდობო გეგმაზე, რომლის მიხედვითაც თურქეთისა და კვიპროსის ბერძნულ სახელმწიფოს შორის კონფლიქტი უნდა დასრულებულიყო (საგულისხმოა, რომ რეფერენდუმი ამ საკითხზე კუნძულის ორივე ნაწილში გაიამართა, თუმცა, სრულიად საპირისპირო შედეგებით დასრულდა).

შეგახსენებთ, რომ კვიპროსის სახელმწიფომ საბერძნეთთან შეერთების სურვილი 1974 წელს გამოთქვა. ამ გადაწყვეტილების მოწინააღმდეგე თურქეთმა სამხედრო ჩარევით სცადა, ხელი შეეშალა კვიპროსის კუნძულის საბერძნეთთან შეერთებისთვის.

ევროკომისიამ, რომელიც შეეცადა თურქეთის საკითხთან დაკავშირებით წარმოშობილი პოლემიკის ჩახშობას, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა დომინიკ დე ვილპენმა თავისი განცხადებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებს "დისკუსიების გახსნისაკენ" მოუწოდა.

როგორც ანონიმური წყაროებიდან ჩანს, თურქეთი "არასოდეს" იქნება თანახმა, თურქეთის მიერ კვიპროსის ბერძნული სახელმწიფოს ცნობა წამოყენებული იყოს, როგორც ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანებისთვის აუცილებელი შესასრულებელი პირობა. გასულ კვირას თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოგანმა განაცხადა, რომ ყოველგვარი დამატებითი პირობის შესრულებაზე უარს ამბობს.

როგორც ჩანს, თურქეთს მხარს უჭერს ევროკომისია, რომელიც აცხადებს, რომ ეს საკითხი აუცილებლად უნდა მოგვარდეს, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელმოსაწერად გამზადებული იქნება ევროგაერთიანებაში თურქეთის შესვლის შესახებ შეთანხმება.

კვიპროსისა და საბერძნეთის ხელისუფლება მიესალმა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის დომინიკ დე ვილპენის განცხადებას.

თურქეთთან მოლაპარაკებების დაწყების თარიღად ოფიციალურად 3 ოქტომბერია დასახელებული. თუმცა, მანამდე თურქეთში საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის კოსტას კარამანლისის ოფიციალური ვიზიტია დაგეგმილი. აღსანიშნავია, რომ ეს 46 წლის შემდეგ საბერძნეთის მთავრობის მეთაურის პირველი ვიზიტი იქნება ანკარაში.

# ერაყის კონსტიტუცია და ქურთთა განსაკუთრებული უფლებები

ერაყის ქურთისტანის პრეზიდენტის მასუდ ბარზანის განცხადებით, ქურთები მაქსიმალურად დაიცავენ საკუთარ უფლებებს ერაყის კონსტიტუციის შემუშავებისას.

**"ამ კონსტიტუციაზე დიდადაა დამოკიდებული ქურთების ბედი და ამიტომ ჩვენ არ ვაპირებთ ქურთისტანის ხალხის უფლებებით ვაჭრობის დაწყებას,"** - თქვა ბარზანმა ერაყული გაზეთის "ათ-თააჰი"-სათვის მიცემულ ინტერვიუში.

კვირას ბაღდადში ჩასვლისას კი ქურთთა ლიდერმა რიგ მნიშვნელოვან საკითხებს შორის, რომლებიც საკონსტიტუციო კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე უნდა იქნეს განხილული, ქვეყნის მომავალი მოწყობის პრობლემაც დაასახელა, კერძოდ, ერაყის ფარგლებში ქურთისტანის გეოგრაფიული საზღვრები, ქურთი ხალხის მომავალი და ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის შედეგად მიღებული თანხების გადანაწილება.

პრობლემებზე საუბრის პარალელურად, ბარზანიმ აღნიშნა ისიც, რომ ერაყის ახალი კონსტიტუცია ქურთებისათვის "ოქროს შანსია", რისი ხელიდან გაშვებაც დაუშვებელია.

"დღეს ქურთები ერაყის სახელმწიფოს მშენებლობაში არაბების პარტნიორები არიან. ამიტომ არაბებს მასში ჩვენი მონაწილეობა თუ მართლა სურთ, უნდა უზრუნველყონ ქურთი ხალხის უფლებების დაცვა," - აცხადებს ქურთთა ლიდერი.

ერაყის კონსტიტუციის პროექტი 15 აგვისტოსთვის უნდა იყოს მზად, ასეთ შემთხვევაში მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს უკვე შესაძლებელი იქნება მისი გატანა სახალხო რეფერენდუმზეც.

**რიანოვოსტი**

# რობინ კუკი - უბედური შემთხვევის მსხვერპლი

დიდი ბრიტანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი რობინ კუკი ჩრდილოეთ შოტლანდიაში 721 მ. სიმაღლის ბენ სტეკის მთაზე ასვლისას გარდაიცვალა. იგი სასწრაფოდ გადაიყვანეს ქალაქ ინვერნესის საავადმყოფოში ვერტმფრენით, გზაში გადაუდებელი სარეანიმაციო პროცედურაც ჩაუტარეს, მაგრამ უშედეგოდ.

**"რობინ კუკის გარდაცვალების შესახებ გავრცელებულმა ცნობამ დაამწუხრა არა მარტო ბრიტანეთი. იგი იყო გამორჩენილი ადამიანი, რომელიც ექსტრაორდინარული ნიჭით იყო დაჯილდოებული. რობინი ძალიან კრიტიკული გახლდათ დებატებში და ჰქონდა ზეგავლენის მოხდენის შეუდარებელი უნარი,"** - თქვა მის შესახებ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა.

დიდი ბრიტანეთის ამჟამინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტრომ კი კუკს "თაობის უდიდესი პარლამენტარი" უწოდა.



*ბრიტანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, რობინ კუკი შოტლანდიაში 721 მ. სიმაღლის ბენ სტეკის მთაზე ასვლისას გარდაიცვალა.*

ბრიტანელი მაღალჩინოსნების გარდა, განცხადებები გააკეთეს მსოფლიო რანგის სხვა პოლიტიკოსებმა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა.

**"თავისი ცხოვრების მანძილზე ბატონმა კუკმა გამოავლინა გამორჩეული ინტელექტი, შეუდარებელი ორატორის ნიჭი და ღირსეული ხედვა შიდა თუ საგარეო პოლიტიკაში,"** - აღნიშნა გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის თქმით, **"დიდი ბრიტანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ადამიანის თავისუფლებისა და ღირსების დაუღალავი დამცველი იყო. საგარეო უწყების ხელმძღვანელობისას მან უზარმაზარი როლი ითამაშა ბალკანეთში ეთნიკური წმენდის დასრულებასა და მშვიდობის დამყარებაში. მისი გარდაცვალება დიდი დანაკარგია ჩვენთვის ყველასთვის".**

**"იგი იყო შეუდარებელი პოლიტიკოსი, რომელმაც თვითიდენტიფიცირება მოახერხა ბრიტანულ პოლიტიკასთან,"** - თქვა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა დევიდ რობერტსონმა.

რობინ კუკის პოლიტიკური კარიერა ედინბურგის ოლქის პარლამენტში 1974 წელს დეპუტატობიდან დაიწყო, როდესაც ლეიბორისტული პარტია ჯერ კიდევ ოპოზიციაში იყო. 1989 წელს იგი ჯანდაცვის სამინისტროს ჩრდილოვანი კაბინეტის მინისტრი ხდება, ხოლო უკვე 1992 წელს ვაჭრობისა და მეწარმეობის სამინისტროს ჩრდილოვანი კაბინეტის მეთაურის პოსტს იკავებს. 1994 წელს ისევ ჩრდილოვანი კაბინეტის ხელმძღვანელის რანგში საგარეო უწყებაში გადადის.

1997 წელს კი არჩევნებში ლეიბორისტების გამარჯვების შემდეგ უკვე დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ხდება. 2001 წელს, შიდაპარტიული ცვლილებების შემდეგ, ამ პოსტზე მას ჯეკ სტრო ცვლის, ხოლო კუკი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ხდება. პარლამენტში თანამდებობას, ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობას რობინ კუკი 2003 წელს ტოვებს, როდესაც ერაყული კამპანია იწყება. იგი არ იზიარებდა პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის პოზიციას ერაყულ კამპანიაში ჩართვასთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რიგითი პარლამენტარის პოზიციიდან, კუკი ხშირად აკრიტიკებდა მმართველი პარტიის პოლიტიკას.

## ორი სიტყვით

**დიდი ბრიტანეთი.** გავრცელებული ინფორმაციით, სკოტლანდ იარდმა ივლისში ლონდონში განხორციელებული ტერაქტების ორგანიზებაში ეჭვმიტანილ პირს, იასინ ჰასან ომარს ბრალი უკვე ოფიციალურად წაუყენა.

სკოტლანდ-იარდში მიაჩნიათ, რომ სწორედ იასინ ჰასან ომარმა მოიყვანა მოქმედებაში ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც "უორენ-სტრიტის" მეტროსადგურში იყო დამონტაჟებული.

იასინ ჰასან ომარი ბრიტანელმა სამართალდამცველებმა ქალაქ ბირმინჰემში დააკავეს. მასთან ერთად დაკავებულია კიდევ ოთხი ეჭვმიტანილი, რომელთაც ბრალს, სავარაუდოდ, მოგვიანებით წაუყენებენ. **24 საათი**

■ ■ ■

**ეკონომიკა.** ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ერთი ბარელი ნავთობის ღირებულებამ უკვე 62,31 აშშ დოლარს მიაღწია. ექსპერტთა შეფასებით, ფასების ზრდა ნავთობზე მოთხოვნილების მკვეთრი ზრდით არის განპირობებული.

რუსული საინფორმაციო სააგენტოს "ნიუს.რუ"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ფასების ზრდის ერთ-ერთი მიზეზი, ასევე აშშ-ში მდებარე ნავთობის გადამამუშავებელ ექვს ქარხანაში დაწყებული დაუგეგმავი სარემონტო სამუშაოებიცაა. **ნიუს.რუ**

ფეხბურთი

# გამოუყენებელი მომენტების ტური

## ყველაზე სწრაფი საქართველოში

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე სწრაფი გოლი გავიდა: მსაჯის სასტარტო სასტვენიდან 40 წამიც არ იყო გასული, რომ მეგრელაძემ მოხდენილი თავური დარტყმით "თბილისს" გოლი გაუტანა. აღსანიშნავია ოდიკაძის ჩვეული, გამოზომილი ფლანგური გადაცემაც. ეს მე-2 ტურის ცენტრალურ შეხვედრაში მოხდა, რომელშიც ჩემპიონმა "დინამომ" ბრინჯაოს პრიზიორ "თბილისს" უმასპინძლა. წინა ჩემპიონატის ყველაზე სიმპათიური და პერსპექტიული გუნდი, "თბილისი" ჯერ ზამთრის არდადეგებზე დაიშალა, თუმცა, საპრიზო სამეულში მაინც მოხვდა. "თბილისმა" კიდევ ერთი ნგრევა სეზონის წინ გადაიტანა: გუნდი ფეხბურთელების უმეტესობამ დატოვა და ძველი შემადგენლობიდან ახალმა, ძველმა მწვრთნელმა, გიორგი დევდარიანმა მხოლოდ სამი ფეხბურთელი შეინარჩუნა. ახალგაზრდა ფეხბურთელებით დასაკომპლექტებლად და სეზონისათვის მოსამზადებლად დევდარიანს მხოლოდ 2 კვირა ჰქონდა, მაგრამ ამის მიუხედავად, პირველ ორ ტურში "თბილისმა" საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სასტარტო მატჩში დევდარიანის გუნდი მინიმალური ანგარიშით, 0:1 დამარცხდა ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხულ "ზესტაფონთან", თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ არანაკლებ ლოგიკური იქნებოდა საპირისპირო შედეგიც - "თბილისის" ფეხბურთელებმა რამდენიმე ძალზე ხელსაყრელი მომენტი გაატანეს ქარს და მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებულ ბოლო წუთზე საკუთარი მეკარის მიერ დაშვებული უხეში შეცდომის შედეგად დამარცხდნენ. გუშინდელ შეხვედრაში სცენარი "შეტრიალდა": "თბილისმა" პირველივე წუთზე გაუშვა გოლი. ანგარიშში დაწინაურების მიუხედავად, "დინამომ" სტუმრებზე ზეწოლა განაგრძო და საწყის ოც წუთში, სულ მცირე, 4-ჯერ მაინც უნდა გაეტანა გოლი, მაგრამ მელქაძეს, მეგრელაძეს, მახარაძეს და ოდიკაძეს დამაგვირგვინებელი დარტყმები არ გამოუვიდათ. შეხვედრის პირველი ნახევარი ისე დასრულდა, რომ სტუმრებს "დინამოს" ვეტერანი გოლკიპერი, ირაკლი ზოიძე საერთოდ არ შეუწუხებიათ.

მეორე ტაიმში "თბილისმა" შედარებით გამოასწორა ვითარება. მართალია, "დინამო" სახიფათო, მაგრამ უშედეგო იერიშების განხორციელებას ისევ ახერხებდა, მაგრამ, თავის მხრივ, ძირითადად საკუთარი კაპიტნის, გოგი ფიფიას გააქტიურების ხარჯზე, "დინამოს" კართანაც შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი. თუმცა, არც ერთ, არც მეორე კარში გოლი აღარ გასულა. უნდა აღინიშნოს, რომ "დინამოს" თამაშს აშკარად აკლდა დამაჯერებლობა და მობილიზაცია, რასაც, ჩემი აზრით, ლოგიკური ახსნა აქვს. გუნდმა სულ 5 დღის წინ ჩაატარა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩი დანიის "ბრონდბიუსთან" და 1:3 ტურნირს გამოეთიშა. როგორც ჩანს, "დინამო" ჯერ არ გამოსულა ამ წარუმატებლობით გამოწვეული ფსიქოლოგიური სტრესიდან.

ასევე გამოუყენებელი მომენტების სიუხვით და ადგილობრივი მნიშვნელობის სენსაციური შედეგით გამოირჩა მატჩი გლდანში, სადაც უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა, თბილისის "ამერმა" "ზესტაფონს" უმასპინძლა. გამოუყენებელი მომენტები ზესტაფონელებს დარჩათ, თორემ დებიუტანტმა თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა. ორი უპასუხო გოლი (კოშკაძე, ხვადაგიანი) გაიტანა ქვაჩახიას კარში და ზედიზედ მეორე გამარჯვების წყალობით, თბილისის "დინამოსთან" ერთად სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა.

**მე-2 ტური**

**6 აგვისტო**

| | |
|---|---|
| ცხინვალი - კახეთი | 0:1 |
| ვიტ ჯორჯია - დინამო (სხ) | 2:2 |
| ბორჯომი - კოლხეთი | 1:0 |
| სპარტაკი - დინამო (ბთ) | 0:0 |
| სიონი - დილა | 2:0 |
| ტორპედო - ლოკომოტივი | 0:0 |

**7 აგვისტო**

| | |
|---|---|
| დინამო (თბ) - თბილისი | 1:0 |
| ამერი - ზესტაფონი | 2:0 |

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო კრედიტი და აპირებს დააფინანსოს კრედიტის ნაწილით **თეთრიწყაროს რაიონის ორბეთის საკრებულოს სოფ. დიდგორის წყალსადენის რეაბილიტაციის მიკროპროექტი.** საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფ. ორბეთის** საკრებულოს სათემო კავშირთან **"ორბეთი-2004"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ორბეთი-2004"**, იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, თეთრიწყაროს რაიონი,**
**სოფ. ორბეთის საკრებულოს გამგეობის შენობაში.**

საკონტაქტო პირი **ნოშრევან აფრასიძე** სათემო კავშირი **"ორბეთი-2004-"**ის თავმჯდომარე ან **ზურაბ სომხიშვილი** ორბეთის საკრებულოს გამგებელი.

**2005** წლის **8** აგვისტოდან. **10**-დან **18** საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1800** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, თეთრიწყაროს რაიონი,**
**სოფ. ორბეთის საკრებულოს გამგეობის შენობაში.**

საკონტაქტო პირი **ნოშრევან აფრასიძე** სათემო კავშირი "ორბეთი-2004-"ის თავმჯდომარე ან **ზურაბ სომხიშვილი** ორბეთის საკრებულოს გამგებელი.

**2005 წლის 8 სექტემბერს 13 საათამდე**.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს 13:00 საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

მძლეოსნობა

# უფროსი ლეიტენანტი ისინბაევა ახალი სიმაღლეებისთვის მზადაა




*ისინბაევა ჰელსინკში 5 მეტრზე გადებულ თამასაზე გადავლებასაც აპირებს.*

რუსი ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევა, რომელიც რეკორდს რეკორდზე ამყარებს, მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატამდე განაცხადა, რომ ქალებს შესწევთ უნარი გადაევლონ 5,15 მეტრზე გადებულ თამასას. ისინბაევას პროგნოზით, შესაბამისი სიმაღლის დაძლევა ახლო მომავლის საქმეა, მსოფლიო ჩემპიონატმა კი სტარტი აიღო შაბათს.

"მიმაჩნია, რომ ვაჟ და ქალ სპორტსმენთა შედეგებს შორის სხვაობა დროთა განმავლობაში შემცირდება. რაც შეეხება ჰელსინკში, ფინეთის დედაქალაქში დაწყებულ რიგით მეათე მსოფლიო ჩემპიონატს, ისინბაევას გათვლებით იგი ხუთ-მეტრიან ზღვარს გადალახავს.

კითხვაზე თუ რატომაა, რომ ერთბაშად არ აუმჯობესებს მსოფლიო რეკორდს, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენმა განმარტა, "ამ შემთხვევაში 36 რეკორდი აღარ მექნება იმისთვის, რომ სერგეი ბუბკას ვაჯობო. ჩემი ნახტომის მეორე ნაწილი ისეთივეა, როგორიც ბუბკას ჰქონდა. აი, სტარტი კი, რა თქმა უნდა, განსხვავებული გვაქვს".

აქვე გაცნობებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ სარკინიგზო ხაზების სამხედრო ხელმძღვანელობამ ელენა ისინბაევა უფროსი ლეიტენანტის წოდებაზე წარადგინა.

საქმე ისაა, რომ ისინბაევა სამხედრო სარკინიგზო ხაზების სპორტული კლუბის წევრია, რომელმაც აქამდე ცნობილ რუს სპორტსმენს უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიანიჭა, ხოლო მოგვიანებით ლეიტენანტისა, ახლა კი... ახლა ისინბაევა უფროსი ლეიტენანტის სამხრეების მოლოდინშია.

და კიდევ, ისინბაევა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალშია და შესაძლოა, მორიგი მსოფლიოს რეკორდიც დაამყაროს. ფინალში გასასვლელად კი 4,45 მეტრზე გადებულ თამასაზე გადავლებაც ეყო.

მოკლედ

## ქართველი მოჭადრაკეები ლიდერთა შორის არიან

შვედეთის ქალაქ გიოტებორგში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე მერვე ტურის შედეგების მიხედვით, საქართველოს ნაკრები 13 ქულით მეორე ადგილზეა. პირველზე პოლონელები არიან, რომლებიც საქართველოს ნაკრებს ქულით უგებენ.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ მერვე ტურში ქართველები რუსებს ხვდებოდნენ და იგი საქართველოს ნაკრების გამარჯვებით დასრულდა - 2,5:1,5.

## ფიგუ იტალიისთვისაა დაბადებული

მას შემდეგ, რაც მადრიდის "რეალის" აწ უკვე ყოფილმა მოთამაშემ ლუიშ ფიგუმ მილანის "ინტერთან" ორწლიან ხელშეკრულებაზე მოაწერა ხელი (ამ ხნის განმავლობაში ფიგუ 2,2 მილიონ ფუნტ სტერლინგს მიიღებს გასამრჯელოდ), ახალმა კლუბმა იგი ჟურნალისტებს წარუდგინა. პორტუგალიელმა ლეგიონერმა კი თავის მხრივ ყოფილი კლუბის მწვრთნელ ვანდერლეი ლუშემბურგოსთან ურთიერთობებზე და იმავდროულად ახალ გუნდთან თანამშრომლობის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

"მინდოდა სხვა ფორმით დამეტოვებინა "რეალი". გასულ სეზონში შევხვდი კაცს, რომელსაც კლუბის ხელმძღვანელობა ჰქონდა ჩაბარებული, მაგრამ ის მე არ მენდობოდა.

დაბადებული ვარ იმისთვის, რომ იტალიაში ვითამაშო. თავის დროზე ფლორენტინო პერესი ამბობდა, რომ "რეალში" სათამაშოდ ვარ დაბადებული, მაგრამ ეს ასე არაა. "ინტერი" იმად ავირჩიე, რომ ის უდიდესი გუნდია. ჩემი მიზანი კი იტალიის ჩემპიონატის მოგებაა".

რაც შეეხება პორტუგალიელი ლეგიონერის დებიუტს "ინტერში", იგი 20 აგვისტოს იტალიის სუპერთასზე ტორინოს "იუვენტუსთან" შედგება.

## ჯეფ ლესიმ მეტოქეს ნოკდაუნის გემო გაასინჯინა

კრივის მსოფლიო ფედერაციის (IBF) ვერსიით მეორე საშუალო წონის მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა ჯეფ ლესიმ კვირას გამთენიისას ტამპაში (ფლორიდა) კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ყოფილ ჩემპიონ რობინ რიდთან დაპირისპირებაში წარმატებით დაიცვა ტიტული.

რობინი რიდი, რომელსაც გუშინდლამდე ნოკდაუნი არ ეგემა, ლესისთან შერკინებისას რინგზე ოთხჯერ დაცემა მოუწია: ორჯერ მეხუთე რაუნდში და თითო თითოჯერ მეექვსე და მეშვიდე რაუნდებში. გარდა ამისა, მატჩის რეფერიმ რიდს წესების დარღვევისთვის ქულაც წაართვა. მეშვიდე რაუნდის დასრულების შემდეგ კი რობინ რიდის სეკუნდანტებმა ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვეს.

ახლა, როდესაც ჯეფ ლესიმ ტიტული დაიცვა, თამამად შეუძლია კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) ჩემპიონ ჯო კალზაგესთან ტიტულების გამაერთიანებელი ორთაბრძოლა მოითხოვოს.

## სპორტის დედოფლის პირველი დოპინგ მერცხალი

მძლეოსანთა საიუბილეო რიგით მეათე მსოფლიოს ჩემპიონატი რიგიანად არც დაწყებულა, რომ დოპინგ სკანდალში გაეხვა. "როიტერის" ცნობით, ბადროს მტყორცნელთა ერთ-ერთ ფინელ მწვრთნელს კარი მატილას პოლიციამ ბინაში ალმოუჩინა დიდი რაოდენობით აკრძალული პრეპარატები.

ფინეთის სატელევიზიო კომპანიის ინფორმაციით, საუბარია ზრდის ჰორმონებზე და კაცთა სასქესო ჰორმონებზე - ტესტოსტერონზე.

ფინეთის სპორტული დელეგაციის ოფიციალურ წარმომადგენელთა განცხადებით, სპორტსმენთა ყველა წინასასტარტო დოპინგ სინჯებმა უარყოფითი შედეგები აჩვენა.

## ოლიმპიადას მსოფლიოს რეკორდი

ჰელსინკში მიმდინარე მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი მსოფლიოს რეკორდიც დამყარდა. ქალთა შორის 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში რუსმა მძლეოსანმა ოლიმპიადა ივანოვამ მსოფლიო ჩემპიონატის პირველი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა - 1:25.41.

## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აცხადებს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღებას.

მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- განცხადება მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების შესახებ (განცხადება შეივსება ადგილზე)

უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი, ნიშნების ფურცელი) დედანი და ასლი

- ავტობიოგრაფია

პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი

- ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3;4

საბუთები მიიღება 2005 წლის 4 ოქტომრიდან 19 ოქტომბრამდე ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, 11-დან 16 საათამდე, შესვენება 14-დან 15 საათამდე, შემდეგ მისამართზე - ბოჭორმის ქ.№12 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საკვალიფიკაციო გამოცდის საორგანიზაციო კომისია, პირველი სართული: საერთო სპეციალიზაცია - ოთახი №4, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია - ოთახი №11, სისხლის სამართლის სპეციალიზაცია - ოთახი №12.

საგამოცდო ფურცლების გაცემა იწარმოებს 24-25 ოქტომბერს.

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდებზე დასწრების სურვილის მქონე საზოგადოებრივი მეთვალყურეები უნდა დაგვიკავშირდნენ 2005 წლის 24 ოქტომბერს. მათი აკრედიტაცია მოხდება 25 ოქტომბერს.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, შემდეგ ტელეფონზე: 27-31-00

ცსკ

INTERNATIONAL IDEA INSTITUTE FOR DEMOCRACY AND ELECTORAL ASSISTANCE

JE MAINTIENDRAI

ცენტრალური საარჩევნო კომისია დემოკრატიისა და არჩევნების ხელშეწყობის
ნიდერლანდების საელჩო საერთაშორისო ინსტიტუტი

# განცხადება

### საარჩევნო ფასილიტატორის ვაკანსიის შესახებ

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული განვითარების პროგრამისათვის (რომელიც დაიწყება 2005 წლის ოქტომბერში), ესაჭიროება 30 ახალი თანამშრომელი საარჩევნო ფასილიტატორის თანამდებობაზე.

ცესკო-ს მიერ 2005 წლის აგვისტოში შექმნილი საკონკურსო კომისია (რომელიც შედგება ცესკოს 2 წევრისგან, 2 არასამთავრობო ორგანიზაციის წევრისაგან და პროექტ BRIDGE - ის 2 ფასილიტატორისგან) განიხილავს წარდგენილ განცხადებებს და გასაუბრებისათვის შეარჩევს 60 კანდიდატს. გასაუბრების შედეგად შეირჩევა 30 კანდიდატი, რომელიც გაივლის საერთაშორისო IDEA-სა და ცესკოს მიერ ერთობლივად ორგანიზებულ საარჩევნო ფასილიტატორის მოსამზადებელ ორკვირიან კურსს. მომზადებული და ცესკო-ს მიერ აკრედიტირებული ფასილიტატორები, სავარაუდოდ მიწვეულნი იქნებიან ცესკო-ს მიერ საარჩევნო ადმინისტრაციისათვის პროფესიული განვითარების კურსების ჩასატარებლად.

ფასილიტატორების მომზადებისას გამოყენებული პროგრამა და მეთოდოლოგია მოიცავს უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების განვითარების კურსს, რომელსაც ეწოდება BRIDGE (დემოკრატიის, მმართველობისა და არჩევნების სფეროში რესურსების შექმნა).

**სტარტეგიის შესახებ**

2005 წლის თებერვალ-ივნისში, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) დემოკრატიისა და არჩევნების ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტთან (International IDEA - შვედეთში დაფუძნებული სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზანია დაეხმაროს მდგრადი დემოკრატიის განვითარებას მთელ მსოფლიოში) ერთად, საერთაშორისო IDEA-ს წევრი სახელმწიფოს - ნიდერლანდების სამეფოს - განვითარების სამინისტროსა და სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით, შეიმუშავა სასწავლო სტრატეგია. ეს სტრატეგია წარმოადგენს საარჩევნო ადმინისტრატორების სწავლებისა და პროფესიული განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის ნაწილს და ითვალისწინებს კვალიფიციური ტრენერების მომზადებას, რომლებიც განახორციელებენ საქართველოში საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიულ სწავლებას დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად.

**განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 25 აგვისტო**. დამატებითი ინფორმაციისათვის ცესკო-ს შესახებ იხილეთ: www.cec.gov.ge

დამატებითი ინფორმაციისათვის International IDEA-ს შესახებ იხილეთ: www.idea.int

დამატებითი ინფორმაციისათვის BRIDGE-ის პროექტის შესახებ იხილეთ: www.bridge-project.org

განცხადება ასევე შეგიძლიათ იხილოთ: www.jobs.ge
საკონტაქტო პირი: ნინო კორინთელი
საკონტაქტო მონაცემები: ელ-ფოსტა: nino@cec.gov.ge
ტელ: (+ 995 32) 98 83 42

# ფრანგულ-ქართული ინსტიტუტი - განათლება საზღვრებს გარეშე

*ფრანგულ-ქართულმა ინსტიტუტმა, რომელიც სამი წელიწადია, რაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე დაარსდა, ამ დღეებში თავისი პირველი კურსდამთავრებულების გამოშვება აღნიშნა. პროექტმა, რომელსაც ჯერ კიდევ 12 წლის წინ უმაღლეს დონეზე ჩაეყარა საფუძველი, ნაყოფი გამოიღო. სტუდენტებმა შეძლეს პროგრამის სრული კურსის გავლა და საერთაშორისო დონის დიპლომების მიღება. ისინი სწავლას საფრანგეთის წამყვან უნივერსიტეტებში გააგრძელებენ. ფრანგულმა მხარემ მათი სტიპენდიით უზრუნველყოფაც თავის თავზე აიღო. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია, მით უმეტეს, რომ საქართველოსთვის კვალიფიციური კადრების მომზადება ახლა პრიორიტეტულ საკითხად იქცა. ამასთან დაკავშირებით გვესაუბრება ფრანგულ-ქართული ინსტიტუტის დირექტორი ბატონი არჩილ ელიზბარაშვილი.*

სოფიო პეტრიაშვილი

**- ბატონო არჩილ, თავდაპირველად ფრანგულ-ქართული ინსტიტუტის დაარსების ისტორიის შესახებ შეგეკითხებით.**

- ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობას. ჯერ კიდევ 1993 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იმდროინდელმა რექტორმა, ბატონმა გოჩა ჩოგოვაძემ, თხოვნით მიმართა საფრანგეთისა და გერმანიის საელჩოებს განეხილათ საკითხი სტუ-ს ბაზაზე ფრანგულ-ქართული და გერმანულ-ქართული ინსტიტუტების შექმნის თაობაზე. რასაკვირველია, ამ შესანიშნავი ჩანაფიქრის ხორცშესხმას წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაოები. გამოჩნდნენ ფრანგი პარტნიორები - უნივერსიტეტი პარიზი-8 (რექტორი ბატონი რენო ფაბრი), ნაციონალური ინსტიტუტი Lanques'O (რექტორი ბატონი ანდრე ბურჟე) და ვერსალის უნივერსიტეტი (რექტორი ბატონი დომინიკ ჟანტილი), რომლებიც მხარს უჭერდნენ ერთობლივი ინსტიტუტის შექმნის იდეას. ამ მიზნის განსახორციელებლად მოეწყო ორმხრივი ვიზიტები: 1997 წლის ოქტომბერში სტუ-ს ეწვია პარიზი 8-ის პრეზიდენტი ბატონი რენო ფაბრი და ამავე უნივერსიტეტის საპატიო პრეზიდენტი და ცნობილი მეცნიერი ქალბატონი ირენ სოკოლოგორსკი.

სტუ-ს რექტორთან, ბატონ რამაზ ხუროძესთან და იმ დროისთვის უკვე საქართველოს ელჩთან საფრანგეთში, ბატონ გოჩა ჩოგოვაძესთან, ერთობლივი მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა ამ ორი უნივერსიტეტის თანამშრომლობის პროექტი. 1998 წლის ივნისში სტუ-ს ეწვია ამავე უნივერსიტეტის პროფესორი, ინფორმატიკოსი ბატონი ჰარალდ ვერცი. შედგა ინსტიტუტის შექმნისა და ფუნქციონირების კალენდარული გეგმა, რომელიც ამ ორი სასწავლო დაწესებულების მიერ დადებულ ხელშეკრულებაშია ასახული. ოდნავ მოგვიანებით ანალოგიური ხელშეკრულებები გაფორმდა Lanques'O-სთან და ვერსალ-სენკანტენის უნივერსიტეტთან. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დროულად შეუდგა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების შესრულებას. კერძოდ, შეირჩა ფრანგულენოვანი პედაგოგები ინფორმატიკასა და ფრანგულ ენაში: გამოიყო სასწავლო აუდიტორიები, ოთახი კომპიუტერული კლასისათვის, ენის ლაბორატორიისა და ბიბლიოთეკისათვის. მომზადდა სასწავლო გეგმის ვარიანტი, რომელშიც დანაწილებული იყო დატვირთვები ქართულ და ფრანგულ მხარეებს შორის. ინსტიტუტის დაარსებისა და ჩამოყალიბების პროცესით დაინტერესებული იყვნენ ფრანკოფონიის მინისტრი ბატონი შ. ჯოსელინი და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. ვერდინი, რომელიც ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა მოწონებით ამ იდეას. შემდგომ ამ პროექტმა მოიცვა სხვა პარტნიორებიც, როგორებიცაა: ორლეანის, კლერმონ-ფერანის უნივერსიტეტები, ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტო, იონის გენერალური საბჭო და საფრანგეთის საელჩო საქართველოში. ამავდროულად შეიქმნა ამ პროექტის მხარდამჭერი კონსორციუმი, რომელიც მომავალშიც გაფართოვდება სხვა ფრანკოფონული და ქართული ორგანიზაციებით. ამ კონსორციუმის მიზანია დახმარება გაუწიოს საქართველოს სასწავლო პროცესს რეფორმების გატარებაში, ევროპული სტანდარტების სპეციალისტების მომზადებასა და შესაბამისი დიპლომების ეკვივალენტურობის უზრუნველყოფაში.

საბოლოოდ, 2002 წლის 24 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე გაიხსნა ფრანგულ-ქართული ინსტიტუტი. ყველაფერი ეს კი შესაძლებელი გახდა იმ უზარმაზარი მრავალწლიანი შრომის შედეგად, რომელიც ჩაატარეს საქართველოს ყოფილმა ელჩმა საფრანგეთში ბატონმა გოჩა ჩოგოვაძემ, საფრანგეთის საელჩომ საქართველოში, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა რამაზ ხუროძემ, პროექტის სამუშაო ჯგუფმა, სტუ-ს პრორექტორმა ბატონმა ვაჟა დიდმანიძემ, ანდრო წულაძემ, შალვა ლობჟანიძემ და საქართველოს ფრანგული ენის პედაგოგთა ასოციაციის დირექტორმა ქალბატონმა იზა ჯინჯიხაძემ.



*ფილიერის ერთ-ერთი წარმომადგენელი სტუდენტი.*

**- როგორია ფრანგულ-ქართული ინსტიტუტის პროფილი?**

- ჩვენს ინსტიტუტს ჰქვია ფრანგულ-ქართული ფილიერი, ეს ფრანგული ტერმინია. გვაქვს მხოლოდ ერთი, ინფორმატიკის ფაკულტეტი. იყო საუბრები ჩამოყალიბებულიყო და გაგვეხსნა ეკონომიკის ფაკულტეტიც, მაგრამ გადავწყვიტეთ, დავლოდებოდით ჩვენი პირველი გამოშვების შედეგებს. გულწრფელად გეტყვით, რომ საბედნიეროდ შედეგმა, რომელიც ცხადია, ჩვენ ჩვენი სტუდენტებისაგან მივიღეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. და ახლა უკვე თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ამ ერთობლივმა, ფრანგულ-ქართულმა პროექტმა ნამდვილად დიდ წარმატებას მიაღწია. ინსტიტუტის ცხრა კურსდამთავრებულიდან რვა უკვე მიწვეულია საფრანგეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში მაგისტარტურის გასაგრძელებლად, მათ შორის ერთი მათგანით ლიბანის სენ-ჟოზეფის უნივერსიტეტი დაინტერესდა. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ჩვენი ერთ-ერთი სტუდენტი პირველი ქართველია, რომელსაც რეალური შანსი აქვს სწავლა საფრანგეთის ყველაზე პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში, ENS-ში, განაგრძოს, მანვე ინფორმატიკის დარგში მიიღო საფრანგეთის მთავრობის ეიფელის სახელობის სტიპენდია, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებულად ნიჭიერ სტუდენტებს ენიშნებათ. ამ ფაქტმა ყველას უდიდესი სიხარული მოგვანიჭა. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანიც ხომ თავიდანვე სწორედ ის იყო, რომ რაც შეიძლება მეტი სტუდენტი გაგვეგზავნა სწავლების მეორე ეტაპზე საფრანგეთის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. ჩემი აზრით, ინსტიტუტისთვის, რომელიც მხოლოდ სამი წელიწადია, რაც არსებობს, ეს უკვე დიდი მიღწევაა. ეს ასევე მნიშვნელოვანი წარმატებაა ტექნიკური უნივერსიტეტისთვისაც, რომლის ბაზაზეც ფილიერი შეიქმნა.

**- როგორც ცნობილია, დიპლომი, რომელსაც ფრანგულ-ქართული ინსტიტუტი იძლევა, საერთაშორისოა.**

- ინსტიტუტის დასრულების შემდგომ სტუდენტი იღებს ორ დიპლომს. პირველი გახლავთ სტუ-ს დიპლომი, ხოლო მეორე ფრანგული უნივერსიტეტის, რისი მეშვეობითაც საფრანგეთის ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში შესაძლებელია სწავლის გაგრძელება, ანუ ფრანგული დიპლომი დამტკიცებული და აღიარებულია საფრანგეთის განათლების სამინისტროს მიერ. ის ასევე გახლავთ კრედიტულ სისტემაზე დაფუძნებული, რაც მას საშუალებას აძლევს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში იყოს აკრედიტებული და მისაღები. ანუ კრედიტული სისტემა, რომელიც პრაქტიკულად თითქმის მთელ ევროპაშია დანერგილი, საშუალებას აძლევს დიპლომს გაუადვილოს სტუდენტებს მობილურობა და ადვილად გასაგები გახადოს მისი ნიშნები, სხვა უნივერსიტეტებში მიღებისას.

**- ფრანგულ-ქართული ფილიერი საქმიანი პარტნიორების სიმრავლით გამოირჩევა.**

- ინსტიტუტს ჰყავს რვა პარტნიორი: უნივერსიტეტი პარიზი 8, ვერსალ-სენკანტენის უნივერსიტეტი, აღმოსავლური ენებისა და ცივილიზაციათა ნაციონალური ინსტიტუტი-INALCO, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტო-AUF-ი, იონის გენერალური საბჭო, საფრანგეთის საელჩო საქართველოში და ასევე საქართველოს საელჩო საფრანგეთში. ყოველ მათაგანს მუდმივად შემოაქვს თავისი წვლილი ინსტიტუტის განვითარებისა და წინსვლისთვის. მაგალითად: იონის გენერალური საბჭო ჩვენ ყოველწლიურად 50 ათასი ევროთი გვაფინანსებს, AUF-ის მოვალეობაა მხარდაჭერა საკოორდინაციო საკითხებში, ის ასევე აგზავნის ყოველ ზაფხულს ჩვენს საუკეთესო სტუდენტებს სტაჟირებებზე. სწორედ ამ ორგანიზაციისა და მისი პრეზიდენტის როჟე მანიერის ხელშეწყობით მოხდა ჩვენი ინსტიტუტის მსოფლიო ფრანკოფონიაში ინტეგრირებაც. ფრანგული უნივერსიტეტების დახმარება კი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი საკუთარი ხარჯებით მოავლენენ პროფესორ-მასწავლებლებს ლექციათა კურსის წასაკითხად; უდიდესია ასევე საფრანგეთის საელჩოს წვლილიც, მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი ინსტიტუტის ყოველდღიურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი მის კულტურის განყოფილებას ბატონი ფრანსუა ლორანის ხელმძღვანელობით. ასევე აღსანიშნავი და მნიშვნელოვანია ყურადღება, რომელსაც ლინგვისტიკის ატაშე ქალბატონი ვირჟინ კონსტანი იჩენს ინსტიტუტის მიმართ. ყოველ ღონისძიებაში, რომელიც მათი თაოსნობით ტარდება, ჩართულნი არიან ჩვენი სტუდენტები. მათი ინიციატივით თითქმის ყოველი თვე დატვირთულია გარკვეული სიახლეებით, ტარდება წერითი მარათონები და რადგანაც პარტნიორები ვართ, ამ ღონისძიებების მასპინძლობა ხან ჩვენ გვიწევს ხან ფრანგული კულტურის ცენტრს და ხანაც თავად საფრანგეთის საელჩოს. ხოლო როდესაც ჩვენი რომელიმე პედაგოგი მიდის საფრანგეთში მივლინებით, გაცვლითი პროგრამით, ან სტუდენტი სწავლის გასაგრძელებლად, მათ უფასოდ ემსახურება საფრანგეთის საკონსულო. ამ მხრივაც საელჩო ყოველთვის გვერდში გვიდგას და ყველანაირად გვიწყობს ხელს.

**- როგორც თქვენ ბრძანეთ, ინსტიტუტს აფინანსებს იონის გენერალური საბჭო. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თქვენ არ ხართ დამოკიდებული საქართველოს ბიუჯეტზე?**

- ფინანსურად ჩვენ მართლაც არანაირად არ ვართ დამოკიდებული საქართველოს ბიუჯეტზე, რადგანაც როგორც უკვე აღინიშნა, ეს გახლავთ ფრანგულ-ქართული პროექტი, რომლის დაფინანსებაზე პასუხისმგებლობა თავიდანვე ფრანგულმა მხარემ აიღო, კერძოდ, იონის გენერალურმა საბჭომ, რომელსაც უკვე დიდი ხანია, საქმიანი ურთიერთობები აქვს კახეთის რეგიონთან. მათ სურვილი გამოთქვეს განათლებაშიც ჩაედოთ თავიანთი ინვესტიციები და სწორედ ამიტომ დაინტერესდნენ ამ პროექტით. ისინი ჩვენი ძლიერი და მყარი პარტნიორები არიან, თუმცა არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ ინსტიტუტს თვითდაფინანსებაზე გადასვლის დიდი სურვილი გააჩნია. საქმე იმაში გახლავთ, რომ სწავლება ჩვენთან დღემდე უფასოა და თუ ის ნაწილობრივ ფასიანი გახდება, ეს ბუნებრივია, სწორედ ის თანხა იქნება, რომელსაც საქართველოს განათლების სამინისტრო დაადგენს.

**- თქვენთან სასწავლო პროცესი რაიმე განსაკუთრებული სახით მიმდინარეობს?**

- სასწავლო პროცესი აბსოლუტურად ისეთივეა, როგორც სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, განსხვავება გახლავთ ის, რომ ინსტიტუტში ქართველებთან ერთად ასწავლიან ფრანგი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები საფრანგეთის ცნობილი უნივერსიტეტებიდან, მოწვეულნი არიან ასევე სტუ-ს და თსუ-ს პროფესორ-მასწავლებლები. ფრანგი პედაგოგები ძირითადად მოკლევადიანი ვიზიტებით ჩამოდიან და ჩვენ ვცდილობთ, რომ ეს დრო მთლიანად მათ ლექციებს დაეთმოს.

განსაკუთრებით ხაზს გავუსვამდი პარიზი 8-ის პროფესორის ბატონი ჰარალდ ვერცის დამსახურებას, რომელიც ამ პროექტის პირველი ფრანგი ინიციატორი გახლდათ და მასთან ერთად ვერსალ-სენკანტენის უნივერსიტეტის პროფესორებს ბატონ უილიამ ჟალბისა და ანრი პიერ შარლს. მათ თავიდანვე მოუხსნეს სტუდენტებს გარკვეული ბარიერი, რომელიც უცხო ენაზე სწავლისას ხშირად ექმნება ახალგაზრდას და რაც ისეთი ვიწრო პროფილისთვისა დამახასიათებელი, როგორიც ინფორმატიკაა. ისინი, რასაკვირველია, ქართველ კოლეგებთან ერთად არ იშურებდნენ ძალღონესა და ენერგიას ინსტიტუტისა და მისი თითოეული სტუდენტის წინსვლისათვის. მათი შრომა განსაკუთრებით დასაფასებელია, რადგანაც ისინი უანგაროდ ემსახურებიან მართლაც ქართულ საქმეს.

**- ბატონო არჩილ, ფრანგულ-ქართულ ინსტიტუტს ორი დირექტორი მართავს: თქვენ და ქალბატონი კატრინ პიტიო, ეს თქვენი ინსტიტუტის კიდევ ერთი თავისებურებაა?**

- როგორც უკვე ითქვა, ჩვენი ინსტიტუტი იმ ორმხრივი ხელშეკრულების შედეგია, რომელიც სტუ-სა და მის ფრანგ პარტნიორებს შორის დაიდო. ეს გახლავთ პროექტი, რომლის განხორციელებისთვისაც როგორც ერთმა, ისევე მეორე მხარემ მაქსიმუმი გააკეთა. სწორედ ამიტომ ფრანგულ-ქართულ ინსტიტუტს ორი ხელმძღვანელი ჰყავს. საფრანგეთის მხრიდან ეს გახლავთ ქალბატონი კატრინ პიტიო, სპეციალობით ინფორმატიკოსი, არაჩვეულებრივი ადამიანი და ბრწყინვალე პროფესიონალი, რომლის გვერდით მუშაობა ჩემთვის პირადად დიდი პატივია. ხოლო საქართელოს მხრიდან კი გახლავართ მე, არჩილ ელიზბარაშვილი. პროექტის აუცილებელი პირობაა, რომ ორივე წარმომადგენელი მუდამ ადგილზე იყოს და ერთმანეთთან შეთანხმებით მართავდნენ ინსტიტუტსა და მის კედლებში მიმდინარე ყველა პროცესს. ჩვენ ერთობლივი ძალისხმევით ვცდილობთ, კიდევ უფრო დავხვეწოთ სწავლის მეთოდები, გავაუმჯობესოთ პირობები და შემდგომში სწორედ ამ მხრივ შევინარჩუნოთ სტაბილურობა. როგორც ფრანგული, ასევე ქართული მხარე მეტად ოპტიმისტურად ვართ განწყობილი და არ ვაპირებთ მიღებული შედეგებით დაკმაყოფილებას. შევეცდებით, მომავალ თაობებსაც ყველა პირობა შევუქმნათ ცოდნის უმაღლეს დონეზე დაუფლებასა და პროფესიონალ ინფორმატიკოსებად ჩამოყალიბებაში.

# ყუთი ყუთში

## იწყება მაუწყებლობის ახალი ერა

უკვე წლებია, საქმიანი ადამიანების უმეტესობა საინფორმაციო ვაკუუმს ინტერნეტით ივსებს. ყველა, ვისი სამსახურიც საოფისე გარემოს უკავშირდება, ინტერნეტით იგებს, რომ, თურმე, საუდიის არაბეთის მეფე ფაჰდი გარდაიცვალა, ლონდონის ტერაქტში ახალი ეჭვმიტანილები დააკავეს და რომ ევროპას ძალიან ცხელა.

ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ადამიანები კარგად ცნობილი ტერმინის - "გლობალური სოფლის" პირობებში ვცხოვრობთ. ამ სოფლის ამბების ვირტუალურ რეჟიმში გაცნობა კი, მაქსიმალური კომფორტისთვის, რამდენი გზით შეგვიძლია - ბეჭდური ტექსტებით და რადიო და ტელემაუწყებლობით.

ბოლო დროს სწორედ ეს უკანასკნელი მიმართულება იხვეწება და ახალ ტენდენციას უდებს სათავეს: მსხვილი მედია და ინტერნეტ-კომპანიები გლობალურ ქსელზე დაფუძნებულ ვიდეო და სარეკლამო პროგრამირებას იწყებენ. ანუ, ადამიანურ ენაზე რომ ვთქვათ, ადამიანებს სულ უფრო მეტად მოსწონთ გადაცემების ონლაინ რეჟიმში ყურება და გამოდის, რომ ინტერნეტი ტელევიზიის ფუნქციებს სულ უფრო დიდი ენთუზიაზმით ითავსებს.

რაც მთავარია, ეს თვითონ დიდ სატელევიზიო ქსელებს სურთ. მაგალითისთვის მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ბავშვების საყვარელი საკაბელო ქსელის Nickelodeon-ის ბოლო ინიციატივა გავიხსენოთ. ინტერნეტში უკვე ფუნქციონირებს Nickelodeon-ის უფასო მომსახურება "ტურბონიქი", რომელიც მომხმარებელს 24 საათის განმავლობაში უფლებას აძლევს, ონლაინ რეჟიმში ყველაზე პოპულარული პროგრამები ნახოს, ისეთები, როგორიც პატარების საყვარელი "სფონჯ ბობ სქვეარ ფენთსი" და ჯიმი ნიუთრონია. "ტურბონიქი" მაყურებელს რამდენიმე ორიგინალ შოუსაც სთავაზობს, რადგან Nickelodeon-ის მფლობელებმა კარგად იციან - ბავშვები სულ უფრო მეტ დროს ატარებენ კომპიუტერთან.

ამ ტენდენციას ხელს უწყობს "სი ბი ეს ნიუსიც". მისი ინტერნეტსაიტი მომხმარებელს (თუ მაყურებელს) ვიდეო საინფორმაციო გამოშვებას სთავაზობს და პროგრამას ავსებს ძირითადად იმ ამბებით, რომელთა ჩატევაც "სი ბი ეს"-ის საღამოს სატელევიზიო 30-წუთიან გამოშვებაში ვერ მოხერხდა.

მესამე თვალსაჩინო მაგალითი კომპანია America Online გახლავთ. ვინც Live 8-ის კონცერტების შესახებ ეცნობოდა ახალ ამბებს, კარგად ემახსოვრება ისიც, რომ ამ ინტერნეტ-კორპორაციამ კონცერტები სრული მეტრაჟით გადასცა ინტერნეტის პირდაპირ ეთერში. კომპიუტერთან მჯდომ დაახლოებით 5 მილიონ ადამიანს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში შეეძლო, ღილაკზე თითის ერთი დაჭერით გადასულიყო პარიზიდან ლონდონში, იქიდან ფილადელფიაში, ტორონტოში, რომში, ბერლინში... და თითოეული კონცერტისთვის რიგრიგობით, პირდაპირ ეთერში ედევნებინა თვალი.

ეს ორიოდე თვის წინ მოხდა და ეს მოვლენა ინტერნეტ ვიდეო პროგრამირების გარდამტეხ მომენტად უკვე შეფასდა. AOL.com-ის ვებგვერდის სტუმრებს კი საგანგებოდ ამ გვერდისთვის გაკეთებული



*მაუწყებლობა ახალ ფაზაში შედის.*

რეალური შოუს ყურება დღესაც შეუძლიათ. შოუს ჰქვია "ბიზ" და მისი საშუალებით შოუბიზნესის ნიჭიერ ლიდერს გამოავლენენ.

საქმეში ჩახედულები ინტერნეტის ტელევიზიად გარდაქმნას რეკლამას აბრალებენ. ინტერნეტ ვიდეო პროგრამირება ერთგვარი გზაა რეკლამის შემკვეთების მოსაზიდად. და შეკვეთებიც ვებ-გვერდებს არ აკლიათ. აი, როგორ ადარებს ერთმანეთს ინტერნეტსა და ტელევიზიას "ეი ბი სი"-ს ყოფილი ხელმძღვანელი ლოიდ ბრაუნი:

"ტელევიზია ძალიან პირდაპირი, მაგრამ ამავე დროს პასიური მედიუმია. ინტერნეტში კი ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ ის მომხმარებელს პასიურობის შანსს არ უტოვებს. მე, როგორც მომხმარებელმა, შემიძლია, ვაკონტროლო სიტუაცია, თვითონ განვსაზღვრო პროგრამირების შინაარსი, ჩემი გემოვნებით ავაწყო საინტერესო გადაცემების განრიგი და ჩემს ახლობლებსაც მივცე, მათი ნახვის საშუალება".

თუმცა, ბრაუნი ამბობს, რომ არ უნდა ვეცადოთ კომპიუტერის ტელევიზიად გარდაქმნა, "ეს იდეა დამარცხდება იმიტომ, რომ ტელევიზიის საქმეს თვითონ ტელევიზია ასრულებს მშვენივრად". ბრაუნის აზრით, მედიაკომპანიები საკითხს ასე უნდა მიუდგნენ: მათ უფლება აქვთ, ინტერნეტში გადაიტანონ ნებისმიერი სატელევიზიო ჟანრის გადაცემა - საინფორმაციო გამოშვებაც, შოუც, სერიალიც და თოქ-შოუც, მაგრამ საჭიროა, ეს გადაცემები მცირე ხნიან ვიდეო სეგმენტებად დაჰყონ და მომხმარებელს საკუთარი გემოვნებით საკუთარი გადაცემის "შეკვრის" შანსი მისცენ.

ამ მხრივ, ანალიტიკოსთა ნაწილი სამაგალითო შემთხვევად MTV-ის ტელექსელის ახალი ინტერნეტ ვიდეო მომსახურებას MTV Overdrive-ს ასახელებს. ამბობენ, რომ ეს არის იდეალური ვარიანტი ტელევიზიის პროგრამირებისა და ინტერნეტის ინტერაქტიულობის კომბინირების საქმეში. და მართლაც: ღილაკზე თითის ერთი დაჭერით მაყურებელს შეუძლია ათობით შოუს დათვალიერება - მუსიკალური ვიდეოების კოლექციებში სასურველი კლიპის მოძებნა, საინფორმაციო გამოშვების ყურებაც, შემსრულებლებთან ინტერვიუს მოსმენაც და MTV-ის ცნობილი გადაცემების, მაგალითად, The Real World-ის ნახვაც. გარდა ამისა, MTV-ის ინტერნეტ-მაყურებელს ზუსტად შეუძლია, რაზეც ბრაუნი საუბრობდა - სხვადასხვა გადაცემის, სურვილისამებრ, ერთმანეთში არევა, MTV-ის არქივში შენახული ათასობით ფაილში ქექვა და სასურველი ეპიზოდების გახსენება.

MTV-ის უკვე ჰყავს ინტერნეტის საინფორმაციო გამოშვებების წამყვანებიც. MTV-ის ქსელის აღმასრულებელი ხელმძღვანელი ჯუდი მაქგრათი კი ამბობს: "ჩვენ ყოველთვის ვამბობდით: "მე მინდა, მქონდეს ჩემი MTV" ეს კარგი დევიზი იყო, რომელიც ინტერნეტმა რეალობად აქცია. დღეს ეს დევიზი ნიშნავს მაყურებლის ძალიან ინტიმურ ურთიერთობას იმასთან, რაც ყველაზე მეტად აინტერესებს...".

და, როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს რეკლამისთვის საუკეთესო გარემოს ქმნის. იგივე MTV Overdrive 15, 30-წამიან რეკლამებს აჩვენებს, რომელთა გაწყვეტაც მაყურებელს არ შეუძლია. მეტიც, როცა რეკლამა მიდის, პარალელურად კომპიუტერის მონიტორის ერთ კუთხეში სარეკლამო ობიექტის გრაფიკული გამოსახულება ჩნდება. დაინტერესებული პირი დააჭერს ამ გამოსახულებაზე თითს და მის ოფიციალურ ვებგვერდზე აღმოჩნდება. ანალიტიკოსები კი პირველ დასკვნებს აკეთებენ. ირკვევა, რომ ამ ტიპის რეკლამით მაყურებელი გაცილებით უფრო ინტერესდება და გაცილებით უფრო ხშირად აჭერს ღილაკს თითს, ვიდრე ვებ-გვერდებზე სტატიკური ბანერების გამოჩენისას.

ინტერნეტ-რეკლამის პროფილით მომუშავე კომპანია Broadband Enterprises კი ასეთ დასკვნას გვთავაზობს: ინტერნეტ ვიდეო პროგრამირებაზე წელს დაახლოებით 200 მილიონი დოლარი დაიხარჯება (შარშან ეს მაჩვენებელი მხოლოდ 75 მილიონი დოლარი იყო), რაც ცხადია, სარეკამო შემოსავალსაც გაზრდის.

დროთა განმავლობაში ინტერნეტ და მედია კომპანიები ფასიან პროგრამირებასაც დაიწყებენ. მაგალითად, შემოდგომიდან "სი ენ ენ"-ი დაიწყებს ახალ, ფასიან ინტერნეტ სერვისს "სი ენ ენ ფაიფლაინი". ხელმომწერ მომხმარებელს ოთხი ვიდეო გადაცემის ნახვა შეეძლება, ასევე არქივში ძიებაც.

ტენდენციას ფეხს აუბამს ამერიკაში ასე პოპულარული CourtTV - სასამართლო პროცესების გადამცემი ტელეარხი. მალე გარკვეულ ფასად ინტრნეტ მომხმარებელსაც შეეძლება ერთდროულად სამი პროცესის ნახვა პირდაპირ ეთერში და ასევე ვიდეო-არქივის გამოყენებაც - ძველი ჩვენებების ხელახლა მოსმენა.

ასე რომ, ამ ახალ ტენდენციას მართლაც დიდი მომავალი აქვს. ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს. დაახლოებით ნახევარი მილიონი ადამიანი უკვე იხდის გარკვეულ გადასახადს ბეისბოლის მთავარი ლიგის თამაშების ინტერნეტში სანახავად. მომავალი კი წინ არის.

# ჰოლივუდის ახალი თაობა

ჟურნალ Teen People-ის ბოლო ნომრის მიხედვით, ეშტონ კეჩერი და ლინდსი ლოენი ახალგაზრდა ჰოლივუდის ყველაზე ცნობილი ვარსკვლავები არიან. ეს დასკვნა თვითონ ჟურნალის მკითხველს - სავარაუდოდ თინეიჯერულ პუბლიკას - ეკუთვნის. საუკეთესო ათეული სწორედ მათი ხმებით შედგა. 27 წლის კეჩერი მართლაც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ვარსკვლავია ახალგაზრდა ჰოლივუდელ მსახიობებს შორის. მისი ფილმები "გამოიცანი, ვინ" და "პეპლის ეფექტი" სიმპათიური კეჩერის ხატრით მრავალ თინეიჯერ გოგონას აქვს ნანახი. კეჩერი ფანების ამალის გაზრდას "ემ ტი ვი"-ის საავტორო შოუს Punk'd-ის წყალობითაც ახერხებს.

მეორე ადგილზე გასული ლოენიც ძალიან წარმატებული გოგონაა. ის სულ 19 წლისაა და ერთ ფილმში ჰონორარის სახით 7 მილიონ დოლარს იღებს.

მესამე ადგილზე მკითხველებმა ორლანდო ბლუმი გაიყვანეს. 28 წლის მსახიობი ფართო პუბლიკამ ფილმებიდან "ბეჭდების მბრძანებელი" და "კარიბის ზღვის მეკობრეები" დაიმახსოვრა.

სიაში ასევე შედიან: ჰილარი დაფი, რიზ უითერსფუნი (მას უკვე საკუთარი კინოსაწარმოო კომპანია Type A-ც აქვს), ნატალი პორტმანი, ჯეიკ გილენჰაალი, ჯესიკა ალბა, სკარლეტ იოჰანსონი და ნიკ ქენონი.



*ეშტონ კეჩერი მეგობართნ.*

სწრაფად ხარისხიანად!
EUROCLEAN-SERVICE

შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:

- ნოხების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
- რბილი ავეჯის, საძინებელი გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლეუმის წმენდა და გაპრიალება.
- ავეჯის რესტავრაცია.

მის. ლესელიძის ქუჩა - ყაყლაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge

იმიჯ-ცენტრი გიწვევთ
მის საქართველო 2005-ში
მონაწილეობის მისაღებად.
17-დან 24 წლამდე ასაკის გოგონებო იჩქარეთ!
გამოავლინეთ თქვენი ნიჭი და მომხიბვლელობა!
გაიმარჯვეთ და მოიგეთ პრიზები!
გახდით მის საქართველო და გაემგზავრეთ მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ სილამაზის კონკურსებზე:
მის მსოფლიო, მის სამყარო და მის ტურიზმ ინტერნეიშენალზე!
Image centre
მონაწილეობის მსურველებო დაგვიკავშირდით:
ვაჟა-ფშაველას №45 83–7 სართული
ტელ: 53-69-11 20 00 20

# Buena Vista Social Club - კიდევ ერთით ნაკლები



*იბრაჰიმ ფერერი*

დიდი ხანი არ არის, რაც მსოფლიომ Buena Vista Social Club გაიცნო და შეიყვარა - ათი წელიც არა. უკვე 2003-ში კი მრავალი ქვეყნის საინფორმაციო გადაცემა მწუხარებით იუწყებოდა ჯერ კომპაი სეგუნდოს, შემდეგ კი რუბენ გონსალესის გარდაცვალების ამბავს.

შაბათს "ბუენა ვისტას" კიდევ ერთი ცნობილი სახე - ჯგუფის წამყვანი ვოკალი - იბრაჰიმ ფერერი გარდაიცვალა.

არ გავრცელებულა 78 წლის მომღერლის სიკვდილის ზუსტი მიზეზი, მაგრამ მისი კოლეგები ამბობენ, რომ მთელი გასული კვირის განმავლობაში ფერერს ფილტვების დაავადება აწუხებდა და თავს ძალიან ცუდად გრძნობდა. ეს ინფორმაცია მენეჯერმა დენიელ ფლორსტანმაც დაადასტურა. გაირკვა, რომ როცა ფერერი ჯგუფის ევროპული ტურნედან ოთხშაბათს დაბრუნდა შინ, უკვე ცუდად იყო. "მაშინვე საავადმყოფოში წავიყვანეთ, მაგრამ მდგომარეობა გაუუარესდა. ბოლოს უკვე ყველა ორგანომ უმტყუნა", - დასძინა ფლორსტანმა.

გუშინვე "ბუენა ვისტას" დანარჩენი წევრები მწუხარებით იგონებდნენ იბრაჰიმს, რომელმაც პუბლიკას თავი სცენაზე გამოჩენისთანავე დაამახსოვრა. ამ მხიარულ, ულვაშიან კუბელს, განუყრელი კეპით, ხომ ყველა ცნობდა.

"ის დიდი მუსიკოსი იყო, ერთგული კოლეგა, ხშირად ისე მექცეოდა, როგორც ძმა - ძმას ექცევა ხოლმე", - იხსენებს გიტარისტი მანუელ გალბანი.

იბრაჰიმ ფერერი 1927 წლის 20 თებერვალს, კუბის აღმოსავლეთში, ქალაქ სანტიაგოში დაიბადა. მისი დაბადებაც სცენას უკავშირდება. იბრაჰიმის დედა კლუბში იყო და გატაცებით ცეკვავდა, როცა სამშობიარო ტკივილები დაეწყო. ასე რომ, ცნობელი "ბუენა ვისტელი" კუბურ ჰანგებს ჯერ კიდევ ამ ქვეყნად მოსვლამდე ეზიარა. სიმღერა 14 წლის ასაკში დაიწყო და სანტიაგოს რამდენიმე სხვადასხვა ანსამბლში მღეროდა. 1950-იანი წლების ბოლოსთვის სახელს - იბრაჰიმ ფერერი - კუბაზე ყველა ცნობდა. სამშობლოში საკმაოდ ცნობილი მომღერალი ასევე ცნობილ პაჩო ალონსოსთან ერთად გამოდიოდა. დრო და დრო, მღეროდა სხვა ლეგენდარულ შემსრულებლებთან - ბენი მორთან და Orquesta de Chepin-თან ერთად.

1959 წელს ალონსოს ჯგუფი ჰავანაში ჩავიდა და მათ თან სანტიაგოდან იბრაჰიმიც გაჰყვა. ისინი ერთად ოცი წლის განმავლობაში გამოდიოდნენ.

მუსიკალური სცენა ფერერმა 1980-იანი წლებში მიატოვა, კომუნისტური მთავრობის მიერ დანიშნული პენსიით რომ ვერ ირჩენდა თავს, მდიდარ ბატონებს ქუჩაში ფეხსაცმელებს უპრიალებდა. ეგონა, რომ სამუდამოდ გაგრძელდებოდა - ის ხომ უკვე მოხუცი იყო, მაგრამ თურმე, მსოფლიო აღიარება სწორედ სიბერეში ელოდა: კუბაზე ტეხასელი გიტარისტი რაი კუდერი ჩავიდა თავისი ლეგენდარული პროექტით და ყველასგან დავიწყებულ მოხუც მომღერლებს ახალგაზრდობა გაახსენა. მათაც ხომ მხიარულებისთვის ბევრი არ უნდათ - კუბელები ისედაც მხიარულები არიან. ამიტომაც ფერერი და დანარჩენები დიდი ენთუზიაზმით შეიკრიბნენ და რაი კუდერთან ერთად გამოუშვეს ალბომი Buena Vista Social Club album, რომელიც გამოსვლისთანავე ჰიტად იქცა - როგორც ჩანს, კუბური ჰანგები მსოფლიოს ძალიან მონატრებოდა.

ალბომმა "გრემიც" მოიპოვა. პოპულარობა მერე კიდევ უფრო გაიზარდა. 1999 წელს გამოვიდა ვიმ ვენდერსის ფილმი იგივე სათაურით და იბრაჰიმ ფერერი და მისი მეგობრები უკვე კინოვარსკვლავებიც გახდნენ.

ცხადია, ამ წარმატებებში დიდი წვლილი სწორედ იბრაჰიმ ფერერს მიუძღოდა. 2000 წელს გამოვიდა მეორე ალბომი ""Buena Vista Social Club წარმოგიდგენთ იბრაჰიმ ფერერს". ეს ჩანაწერი ლათინური "გრემით" დაჯილდოვდა. მოხუცმა ფერერმა ჯილდო მიიღო, როგორც საუკეთესო ახალმა სახემ შოუბიზნესში. მაშინ ის 72 წლის იყო. არადა, მსოფლიო პრესა მის შესახებ სწორედ ამ პერიოდში წერდა. ამბობდნენ, რომ იბრაჰიმ ფერერის ხმა ნეთ კინგ ქოლისას ჰგავს...

როგორც უკვე მოგახსენეთ, ფერერი ჯგუფის დანარჩენ წევრებთან ერთად ევროპულ ტურნეში იმყოფებოდა. გამოდიოდა მონტროს ჯაზ ფესტივალზე, ასევე ბრიტანეთში, ჰოლანდიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში და ესპანეთში და მღეროდა ბოლეორების სხვადასხვა ვერსიებს. შინ დაბრუნების შემდეგ ის ამ სიმღერების ჩაწერას და დისკად გამოშვებას აპირებდა. ეს, გეგმისამებრ, მომავალ წელს უნდა გაეკეთებინა.

ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემის "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------
მისამართი ----------
საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------
დაბადების თარიღი ----------
სკოლა ----------
კლასი ----------
დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------
მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------
მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოაგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი   უ ფ ა ს ო ა

სახელი ____ მისამართი ____
გვარი ____
ასაკი ____ საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ____
სქესი ____

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
განქორწინებული
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეთამაშში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ ინტელექტუალურ კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეთამაში ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ?

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ხელმოწერა ____ თარიღი ____

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !

გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

თქვენი ფოტოსურათი